დანართი C2 პასუხები ESIA ანგარიშის დამატების საჯარო განხილვის ეტაპზე მიღებულ შენიშვნებზე

სარჩევი

1 შესავალი 1
2 საჯარო განხილვის პროცესი 2
2.1 მიმოხილვა 2
2.2 შენიშვნების მიწოდების მექანიზმი 2
2.3 შენიშვნების გათვალისწინება 3
3 დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა 4
3.1 ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები 4
3.2 სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები 5
3.3 სხვა შენიშვნები 6
4 დეტალური პასუხები დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნებზე 7
4.1 ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებული შენიშვნები 8
4.2 დამოუკიდებელი ორგანიზაციები 36
4.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები 53
4.3.1 საკითხის რეზიუმე: ეკოლოგიური ზემოქმედებები 53
4.3.2 საკითხის რეზიუმე: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება - დასაქმების შესაძლებლობები და შერჩევის პროცესი 55
4.3.3 საკითხის რეზიუმე: მიწა და შემოსავლები – კომპენსაცია 56
4.3.4 საკითხის რეზიუმე: ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება 57
4.3.5 საკითხის რეზიუმე: დასახლების ინვესტირების პროგრამა 59
4.3.6 საკითხის რეზიუმე: არსებული BTC და SCP მილსადენების ექსპლუატაცია 60
4.3.7 საკითხის შეჯამება: კულტურული მემკვიდრეობა 60
4.3.8 საკითხის რეზიუმე: პროექტის აღწერა 60
4.3.9 საკითხის რეზიუმე: ზოგადი გამოხმაურება 61

ცხრილები

ცხრილი 4-1: ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - ქვეყნის ხელისუფლების ორგანოები 8
ცხრილი 4-2: ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - დამოუკიდებელი ორგანიზაციები 36
ცხრილი 4-3: ESIA–ს დამატების შესახებგამოთქმული შენიშვნები და პასუხები – პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა 63

სურათები

სურათი 3-1: დაინტერესებული მხარეების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი 4
სურათი 3-2: დაინტერესებული მხარეების მიერ სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი 5

სურათი 3-3: დაინტერესებული მხარეების მიერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი 6
სურათი 4-1: საკითხზე გაცემული პასუხის რეზიუმეს ფორმატი 53

1 შესავალი

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის (SCPX) ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატების (ESIA-ს დამატება) ანგარიში დაექვემდებარა საჯარო განხილვას, სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) პროექტის შესახებ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების (HGA) მოთხოვნის შესაბამისად. ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვა გაიმართა 2014 წლის გაზაფხულზე და გაგრძელდა 60 დღე; ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის (მომზადდა SCPX კმნ 58.7-61.4 მარშრუტის ცვლილების აღსაწერად) საჯარო განხილვა გაიმართა 2014 წლის სექტემბერში და გაგრძელდა 14 დღე. ორივე საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით, განხორციელდა საჯარო განხილვისათვის მომზადებული ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის გადახედვა, რომლის საფუძველზეც შედგენილი იქნა SCPX ESIA-ს დამატების საბოლოო ანგარიშის საბოლოო ვერსია. უკანასკნელი წარედგინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

წინამდებარე დანართში მოცემულია დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა და ზოგადი ანალიზი; აგრეთვე მოყვანილია შენიშვნებზე გაცემული პასუხების შეჯამება და მითითებულია ყველა ცვლილება, რომელიც შეტანილი იქნა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტში შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

2 საჯარო განხილვის პროცესი

2.1 მიმოხილვა

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის ეტაპი, რომელიც უფრო დეტალურადაა აღწერილი მე-9 თავში (კონსულტაციების პროცესი) და დანართ C1-ში (საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა), მოიცავდა შემდეგს:

- ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის (ქართულ ენაზე), არატექნიკური რეზიუმესა (NTS - ქართულ და რუსულ ენებზე) და ასევე ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის (ქართულ ენაზე) და NTS-ის შესწორებული ვარიანტის (ქართულ ენაზე) საჯარო განხილვას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ პუნქტებში თბილისსა და საპროექტო ტერიტორიების სიახლოვეს მდებარე სხვა დასახლებულ პუნქტებში. ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის ასლები, დანართების ჩათვლით, ხელმისაწვდომი იყო გადასახედად; გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ წაეღოთ არატექნიკური რეზიუმესა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებული ბროშურების დამატებითი ასლები
- ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის, ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის და არატექნიკური რეზიუმეს ინგლისური და ქართული ვერსიების გამოქვეყნებას BP-ის ვებ-გვერდებზე
- საჯარო შეხვედრებს თბილისში, ხაიშში, პატარა დურნუკში, ქოთიშში, არალსა და ნაოხრებში.

2.2 შენიშვნების მიწოდების მექანიზმი

პროექტისათვის ESIA ანგარიშის პროექტის შესახებ შენიშვნების / შეკითხვების მიწოდება შესაძლებელი იყო შემდეგი საშუალებებით (უფრო დეტალური ინფორმაცია მოყვანილია მე-9 თავში და დანართ C1-ში):

- წერილობითი შენიშვნების / შეკითხვების გაგზავნა BP საქართველოს ოფისში
- შენიშვნების / შეკითხვების მიწოდება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით
- შენიშვნების / შეკითხვების შევსებული ფორმების მიწოდება BP-ის თანამშრომლებისათვის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებში ან ამ ფორმების წარდგენა საჯარო შეხვედრებზე
- შენიშვნების გამოთქმა / შეკითხვების დასმა საჯარო შეხვედრებზე
- შენიშვნების / შეკითხვების ფორმების ელექტრონული ვერსიის შევსება; აღნიშნული ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელი იყო ვებ-გვერდიდან.

მიღებული შენიშვნების დიდი ნაწილი (55%) წამოიჭრა საჯარო შეხვედრების დროს; აქედან 43% წარდგენილი იყო წერილობით, ხოლო 2% სიტყვიერად ეცნობათ SCPX-ის ჯგუფის წევრებს. შევსებული ფორმების სახით არცერთი შენიშვნა არ ყოფილა.

2.3 შენიშვნების გათვალისწინება

თითოეული მიღებული შენიშვნა შეტანილი იქნა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნების მონაცემთა ბაზაში; მონაცემთა ბაზაში აგრეთვე შეყვანილი იქნა ინფორმაცია შენიშვნის გამომთქმელი დაინტერესებული მხარისა და შენიშვნის მიწოდების ფორმის შესახებ.

თითოეულ შენიშვნას მიენიჭა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი და კატეგორია წინასწარ განსაზღვრული სფეროების / თემების სიის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავდა პროექტის ან ESIA-ს დამატების თავის საკითხს, რომელსაც უკავშირდებოდა გამოთქმული შენიშვნა. მიღებული შენიშვნები ხშირად რამდენიმე საკითხს ეხებოდა; ასეთ შემთხვევაში შენიშვნას ენიჭებოდა შესაბამისი საკითხის პირველადი, მეორადი და, საჭიროებისამებრ, მესამე ხარისხის კატეგორია.

შემდეგ ეტაპზე ხდებოდა შენიშვნების დახარისხება საკითხების მიხედვით და მზადდებოდა პასუხი თითოეულ შენიშვნაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული იქნა რამდენიმე მსგავსი შენიშვნა, მზადდებოდა შესაბამისი საკითხის შეჯამება / რეზიუმე, სადაც განხილული იყო მიღებული შენიშვნები და გაცემული იქნა შემაჯამებელი პასუხი. სადაც შესაძლებელი იყო, პასუხში აგრეთვე აღწერილია შენიშვნაზე რეაგირების / დასმული საკითხის მოგვარების გზა.

3 დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა

მიღებული შენიშვნების შეჯამება სხვადასხვა თემატიკის მიხედვით ქვემოთაა მოცემული. ინდივიდუალური შენიშვნებისა და პასუხების სია, ESIA-ს დამატების იმ თავების მითითებით, რომელთა გადახედვა მოხდა ამ შენიშვნების გათვალისწინებით, მოყვანილია მე-4 თავში.

3.1 ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები



სურათი 3-1: დაინტერესებული მხარეების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნების უდიდესი ნაწილი მოგვაწოდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ.

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები აგრეთვე ეხებოდა ეკოლოგიური ზემოქმედების ტიპების შეფასებას, ფონური ინფორმაციის ადექვატურობას ზოგიერთ ეკოლოგიურ ასპექტთან მიმართებაში და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან დაკავშირებით შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებებს. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წამოჭრილი შენიშვნები ეხებოდა ფონური მონაცემების საკმარისობას, კონკრეტულად არქიტექტურულ ძეგლებთან მიმართებაში და ასევე კვლევებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს; ასევე, შენიშვნები ეხებოდა ESIA-ს დამატებაში გამოყენებული ტერმინოლოგიის განმარტებას. შენიშვნები, ასევე მიღებული იყო PRMS-ით გამოწვეულ ხმაურთან/ვიბრაციასთან და ატმოსფერულ ემისიებთან და ფონურ მდგომარეობაზე გამოწვეულ ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

ზოგადი შენიშვნები იყო მიღებული ნარჩენების, მონიტორინგის, ტერმინოლოგიის ნიადაგის ეროზიის და გეოლოგიის შესახებ.

3.2 სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები



სურათი 3-2: დაინტერესებული მხარეების მიერ სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

სოციო-ეკონომიკური საკითხების უდიდესი ნაწილი წამოჭრეს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების წევრებმა. შენიშვნების უმეტესობა (მიღებული შენიშვნების 23%) ეხებოდა მიწის და მოსავლის კომპენსაციის გაანგარიშების მექანიზმის განმარტებას, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და არაფორმალურად გამოყენებული მიწის შესყიდვის პროცესს. ბევრი შენიშვნა (მიღებული შენიშვნების 9%) ეხებოდა საკითხს, დაუჭერს თუ არა პროექტი მხარს თემების ინვესტირების ინიციატივას.

ბევრი შენიშვნა ეხებოდა პროექტის მიერ შექმნილ დასაქმების შესაძლებლობებს, სამსახურში აყვანის პროცესს და შეშფოთების გამოხატვას ადგილობრივი მაცხოვრებლების ნაცვლად უცხოელი მოქალაქეების უპირატეს დაქირავებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთმა რესპონდენტმა წამოჭრა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც ეხება მილსადენის სიახლოვეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს. გარდა ამისა, დაინტერესებულმა მხარეებმა დასვეს კითხვა საპროექტო ტერიტორიაზე ინფექციურ დაავადებებთან, ჯილეხთან და აზბესტის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებთან და ამ რისკების შესამცირებლად პროექტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებაში.

3.3 სხვა შენიშვნები



სურათი 3-3: დაინტერესებული მხარეების მიერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

კითხვების გარკვეული რაოდენობა (15%) ეხებოდა პროექტის აღწერას, ძირითადად საინჟინრო პროექტის განახლებებთან დაკავშირებით. შენიშვნები ნაწილი (9%) ეხებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიურ (SCP) მილსადენებს. შენიშვნები ასევე ეხებოდა საჯარო განხილვისა და კონსულტაციის (1%) და ზემოქმედების შეფასების პროცესს (2%). ზოგადი შენიშვნა ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა თარგმანის უზუსტობები და პროექტში ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობა.

4 დეტალური პასუხები დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნებზე

თავებში 4.1– 4.2 მოყვანილია ყველა მიღებული ინდივიდუალური შენიშვნა, შენიშვნის ავტორი და კონკრეტული პასუხი შენიშვნაზე, რომელიც გამოთქვა სახელმწიფო ორგანოებმა (ნაციონალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ან მათი წარმომადგენლები) და მესამე მხარეებმა.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებიდან მიღებული შენიშვნები ეხებოდა რამდენიმე საერთო თემას, რომლებიც დაჯგუფდა ერთი საკითხის ქვეშ და შესაბამისად, გაეცა საერთო ფორმატის პასუხი (თავი 4.3).

ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებთან მიმართებაში, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ თავებსა და ცხრილებს, გასათვალისწინებელია, რომ საბოლოო ვერსიის ნუმერაცია შეიძლება განსხვავებული იყოს. ზემოაღნიშნული იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შენიშვნები და პასუხები განიხილავს ანგარიშის პროექტის კონკრეტულ ცხრილს, რომელიც განახლებული სახითაა მოცემული ანგარიშის საბოლოო ვერსიაში. სიზუსტისთვის, შენიშვნები შენარჩუნდა იმ ფორმით, როგორითაც მიღებული იყო, ხოლო პასუხი განიხილავს მოცემულ კონკრეტულ შენიშვნას. ცხრილი 4-1-ის სვეტში - „ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი“ მითითებულია ანგარიშის საბოლოო ვარიანტის შესაბამისი თავი და ცხრილის ნომერი.

4.1 ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებული შენიშვნები

ცხრილი 4-1:ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - ქვეყნის ხელისუფლების ორგანოები

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MENR)			
2013 წელს სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიას მიღებული აქვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 56 კმ სიგრძის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაზე. ამჟამად, სამინისტროში მიმდინარეობს აღნიშნული პროექტის ცვლილებების განხილვა, რომლის თანახმად 56კმ-იანი მონაკვეთი დაგრძელდება 5.3კმ-ით. წარმოდგენილი პროექტი მოიცავს მხოლოდ კმ57-დან კმ62.3-მდე მონაკვეთის შესწავლის მასალებს. გაურკვეველი რჩება კმ56-დან კმ57-მდე არსებული მონაკვეთის საკითხი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია ESIA-ს ანგარიშში დაზუსტდეს და წარმოდგენილი იქნას გამოტოვებული 1 კილომეტრიანი (კმ56 - კმ57) მონაკვეთის სრულყოფილი შესწავლის მასალები	329	SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში კმ56 აღნიშნულია, როგორც მილსადენის მარშრუტის ბოლოსთან არსებული ყველაზე ახლო წერტილი, თუმცა როგორც ეს მოცემულია ESIA-ს საბოლოო ანგარიშის შეზღუდვების რუკებზე, მილსადენი სრულდება დაახლოვდებით 300მ-ით შორს, კმ56.3-თან. ეს კმ ESIA-ს საბოლოო ანგარიშში დამრგვალებულია კმ56-მდე. CSG1-თან მილსადენის მარშრუტის მცირე ცვლილებების გამო ეს წერტილი ახლა არის კმ56.6 და ESIA-ს დამატებაში წარმოდგენილი მილსადენის დამატებითი მონაკვეთის საწყისი წერტილი ახლა არის კმ56.6, რომელიც ESIA-ს დამატებაში დამრგვალებულია კმ57-მდე, კმ-ზე მითითების გაადვილების მიზნით. მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სიგრძე შესწორდა 5.7კმ-ზე. ერთი კილომეტრის გამოტოვების შთაბეჭდილება დარჩა სწორედ კმ ნომრების უახლოეს კმ-მდე დამრგვალების გამო. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება ითქვას, რომ ESIA-ს დამატების საკვლევი ტერიტორია იწყება იქ, სადაც SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის თავდაპირველი მარშრუტი სრულდება. მთლიანი მარშრუტი წარმოდგენილია ESIA-ს დამატებაში ან ESIA-ს საბოლოო ანგარიშში (გამოტოვებული არ არის არცერთი ნაწილი). როგორც დამატების, ისე ESIA-ს საბოლოო ანგარიშის შეზღუდვების რუკებზე (დანართი A) ნაჩვენებია, რომ ESIA-ს დამატების საკვლევი	5.2

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		ტერიტორია იწყება იქ, სადაც სრულდება ESIA-ს საბოლოო ანგარიშის საკვლევი ტერიტორია. ამ შენიშვნის პასუხად, ESIA-ს დამატების ქვეთავს 5.2 დაემატა ტექსტი და სურათი 5-3, იმის განმარტებისთვის, რომ შესწავლილია მთლიანი მარშრუტი და არცერთი მონაკვეთი გამოტოვებული არ არის.	
ESIA-ს ანგარიშში განხილულია კმ62.3-თან (დგუშის სადგურის სიახლოვეს) მკვრივი ქანების, ბაზალტების არსებობა. იქიდან გამომდინარე, რომ ბაზალტი წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულს და სავადაუდოდ საჭირო იქნება მათი აფეთქება, აფეთქებებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებაც განხილული უნდა იქნას წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში. ტერიტორიით სარგებლობისთვის, სადაც შესაძლებელია მოიპოვებოდეს სასარგებლო წიაღისეული, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #32 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭიროა ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტს თან დაერთოს შესაბამისი შეთანხმება სსიპ გარემოს დაცვის სააგენტოსთან.	330	აფეთქების ზემოქმედებების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ESIA-ს დამატების შემდეგ ქვეთავებში: ქვეთავი 10.2 (ქვების მოცილება, განთავსება ან ხელახალი გამოყენება), 10.7 (ფაუნაზე ზემოქმედებები), 10.9 (ხმაური და ვიბრაცია), 10.12 (დასახლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება) და 10.15 (არსებული ინფრასტრუქტურა). მაგალითად, კონკრეტულად ქვების განთავსებისთვის ვალდებულებაში 9-02 (ESIA-ს დამატების ქვეთავი 10.2.4) მოცემულია ნიადაგის ქვედა ფენის და ქვების განთავსების ყველა შესაძლო უბანი და ასევე განთავსების გეგმები, რომლებიც მათ მიღებამდე, გადაიხედება გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით. პროექტმა კონსულტაციები გაიარა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, რათა მიეღო დასტური პროექტის ფიზიკური კვალის ფარგლებში წიაღისეულის და ინერტული მასალების ცნობილი საბადოების არსებობის ან არ არსებობის შესახებ. დადასტურდა, რომ მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი ნაწილობრივ (კმ59.5 – 62.3) მდებარეობს 187,824ჰა ფართობ მიწაზე, რომელიც წარმოადგენს მეტალების გეოლოგიური დანალექების სახელმწიფო ფონდს. ESIA-ს დამატების მე-7 თავში - ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობა (ქვეთავი 7.2.3.1) დამატებულია ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.	7.2.3.1
ESIA-ს ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება არქეოლოგიური ობიექტები, თუმცა არ არის მითითებული ტერიტორიაზე არსებობს თუ არა	331	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 327	7.10.2, 7.10.3, 2

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
არქიტექტურული ძეგლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს ინფორმაცია არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების არსებობის შესახებ და ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშს ასევე უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადახვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებზე.			
ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარეების და სხვა ხელოვნური წყლის ობიექტების გადაკვეთებში მილსადენის ჩაღრმავების სიდიდეები, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს მისი საანგარიშო მეთოდიკაც.	332	მილსადენის დამატებითი მონაკვეთებით მდინარეების გადაკვეთა არ ხდება. მდინარის გადაკვეთის პრინციპები აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 5.4.11. SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშზე გაკეთებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების მოთხოვნების შესაბამისად პროექტი ამზადებს გადაკვეთის აღწერის უფრო დეტალურ დოკუმენტს MENR-სთვის წარსადგენად.	-
ESIA-ს ანგარიშში განხილული უნდა იყოს აღმოსავლეთის მონაკვეთი, რადგანაც აქ არსებული ნიადაგები მიდრეკილია ეროზიისკენ (მილსადენი გაივლის ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის ახლოს), რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე.	333	მილსადენის მარშრუტის გასწვრივ (აღმოსავლეთის მონაკვეთის ჩათვლით) ეროზიის ინტენსიურობა განხილულია ESIA-ს დამატების ქვეთავში 7.3.4. შემოთავაზებული დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის გასწვრივ არსებული, მილსადენთან ყველაზე ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 300მ მანძილზე. მილსადენთან დაკავშირებული ეროზიით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედებები ამ მანძილზე შენობას ვერ მიაყენებს სტრუქტურულ დაზიანებებს; ზემოქმედების მართვა მოხდება მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზების შემარბილებელი ღონისძიებებით, რომლებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 10.3.4.	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
ESIA-ს ანგარიშიდან ჩანს, რომ სხვა სახეობებთან ერთად შესაძლოა საჭირო გახდეს საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების (მაგ.: მაღალმთის მუხა - *Quercus macranthera*, კაკალი - *Juglans regia*) ინდივიდების ჭრა. აღნიშნულთან დაკავშირებით გზშ-ს ანგარიშში ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული ჭრას დაქვემდებარებული წითელი ნუსხის ხე-მცენარეების სახეობები და რაოდენობა. ჭრის საჭიროების შემთხვევაში ქმედებები უნდა განხორციელდეს საქართველოს „წითელი ნუსხის“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.	334	ESIA-ს დამატების ქვეთავში 7.7. მოცემულია წითელი ნუსხის ყველა სახეობა, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნა, ან შესაძლოა არსებობდეს მილსადენის მარშრუტების ახლოს. დაფიქსირებული იქნა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მხოლოდ ერთ სახეობის - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*) ორი ინდივიდი. მე-4 თავში აღწერილის შესაბამისად მარშრუტი გვერდს უვლის ამ ადგილს; ამ საკითხის განმარტების მიზნით ESIA-ს დამატების ქვეთავს 7.7.3.3 დაემატა განმარტებითი ტექსტი.	7.7.3.3
გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა უნდა მოიცავდეს საპროექტი ტერიტორიაზე ზოგადად ცხოველთა სახეობების არსებობაზე (და არა მხოლოდ შერჩეულ სახეობებზე) და საქმიანობის განხორციელების შედეგად მათზე ზეგავლენის მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული და წარმოდგენილი უნდა იქნას დამატებითი შემარბილებელი / საკომპენსაციო ღონისძიებები.	335	შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტის გასწვრივ არსებული ცხოველთა სახეობის იდენტიფიცირებისთვის ჩატარდა კამერალური კვლევა (ESIA-ს დამატების ქვეთავი 7.7.1) და საველე კვლევების შედეგად აღინუსხვა მილსადენით გადაკვეთილი ყველა ჰაბიტატი და საპროექტო ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველები (იხ. ESIA-ს დამატების ქვეთავი 7.7.3). ESIA-ს ფარგლებში ასევე შეფასდა ამ ჰაბიტატების პოტენციალი მასთან ამფიბიების, ქვეწარმავლების, ფრინველების, ძუძუმწოვრების და უხერხემლოების ასოცირებასთან მიმართებაში. პროექტის შემარბილებელი სტრატეგიის მიზანია უზრუნველყოს წარმატებული აღდგენა და კომპლექსური აღდგენა (იხ. ESIA–ს დანართი D), ისე რომ დროებით შეშფოთებული უბნების ჰაბიტატები აღდგეს თავდაპირველთან მიახლოებულ მდგომარეობამდე და მოხდეს ამ უბნების ხელახალი კოლონიზაცია იმ სახეობებით, რომლებიც შესაძლოა გადანაცვლებულიყო მშენებლობის დროს. მშენებლობით გამოწვეული ფაუნის ნებისმიერი გადანაცვლება იქნება დროებითი ხასიათის და სახეობის არსებობაზე ან მის რაოდენობაზე მნიშვნელოვან	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		ზემოქმედებას არ მოახდენს. ESIA მოიცავს რამდენიმე ვალდებულებას, რომლებიც ეხება მშენებლობის შემდგომ ეკოლოგიურ მონიტორინგს (OP141, 3-14, 17-07, 17-10) (შენიშვნა ID 319). ეს ვალდებულებები ასევე ეხება ჰაბიტატების აღდგენის მონიტორინგს, რათა ცხოველის ყველა სახეობას (და არა მხოლოდ შერჩეულ სახეობებს) ჰქონდეთ შეშფოთებულ ადგილებში დაბრუნების შესაძლებლობა. ზემოქმედებების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დამატებითი მონიტორინგის/კომპენსაციის შემარბილებელი ღონისძიებები ცხოველთა სახეობებისთვის საჭირო არ არის.	
თავი 5.4.4 - პარალელური მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადება - SCPX კმ57-სა და კმ62.3-ს შორის საჭირო იქნება დამატებითი მიწის ფართობის გამოყოფა ქვების შენახვისა და გადამუშავებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა განისაზღვროს და გზშ-ს ანგარიშში აისახოს: დამატებით საჭირო ტერიტორიის ადგილმდებარეობა; • ფართობი; • კატეგორია; • ნიადაგური მდგომარეობა; • გათვალისწინებული ღონისძიებები.	336	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 315	
თავი 10.3.3.1 – PRMS-სა და ჩამკეტი სარქველისთვის დამატებითი მიწის ფართობის მოპირკეთება სხვა მასალით, ამ შემთხვევაში ნიადაგის ზედა ფენა სამუდამოდ მოიხსნება. აღნიშნულის გათვალისწინებით გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს: ჩამკეტი სარქველისთვის დამატებითი მიწის ფართობის	337	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 317.	

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
მოცულობა; • ფართობის კატეგორია; • მოსახსნელი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობა; • მოხსნილი ნიადაგის განთავსების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები; • სხვა გათვალისწინებული ღონისძიებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.			
გზშ-ს ანგარიში, მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით, მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ს ანგარიშში, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები: • მიწის სამუშაოთა მოცულობა მონაკვეთების (ფართობების) მიხედვით, მათ შორის - ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, გრუნტის კლდოვანი ქანების, ქვების; • სამშენებლო ბანაკი (მოედანი) - გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობი, ფართობის კატეგორია, ნიადაგური მდგომარეობა, გათვალისწინებული ღონისძიებები; • სამშენებლო ბანაკის (მოედანი) სქემატური ნახაზი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსების ჩვენებით	338	მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია უკვე წარმოდგენილია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 5.6 და სადაც ცვლილებები არ მომხდარა, SCPX ESIA–ს დამატებაში მითითებულია შესაბამისი ქვეთავის ნომერი, გამეორების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, ზოგიერთი ინფრასტრუქტურის ფართობის ზრდის გამო, მოსახსნელი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობა შეიცვალა, რაც ასახულია ESIA–ს დამატების ცხრილში 5–1 (იხ. პასუხი შენიშვნაზე ID 318). სამშენებლო ბანაკების მდებარეობები მოცემულია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის და ESIA–ს დამატების დანართში A. საჭირო ფართობი მოცემულია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავებში 5.2.7 და 5.2.8. ბანაკის უბნების და მილების დასაწყობების ადგილების ნიადაგების კვლევა ჩატარდება მშენებლობის დაწყებამდე და შედეგები გამოყენებული იქნება ნიადაგის მდგომარეობის განსასაზღვრად. SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავებში 5.4.2 და 5.6.2 მოცემულია ინფრასტრუქტურები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ყველა ბანაკში; ESIA–ს დამატების სამუშაოს მოცულობა არ ითვალისწინებს სამშენებლო ბანაკებს, ამიტომ ბანაკები განხილულია მხოლოდ SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშში.	ცხრილი 5-1

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
შემდგომი მონიტორინგის მიზნით, განხორციელდეს ყველა იმ ფართობის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების დადგენა და ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში ასახვა (ფართობის ჩვენებით), მიუხედავად მუდმივი ან დროებითი სარგებლობისა, სადაც განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ყოველ კონკრეტულ ფართობებზე (მონაკვეთი) განისაზღვროს მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა (კუბური მეტრები).	339	ცხრილი 5-1 შეიცვალა და ცხრილში ახლა მოცემულია PRMS–ის, ჩამკეტი სარქველის და დგუშის სადგურის განახლებული ფიზიკური კვალი (იხ. პასუხი შენიშვნაზე ID 317). მილსადენის სამშენებლო დერეფნიდან დროებით მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობა (მოცემულია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის და ESIA–ს დამატების შეზღუდვების რუკებზე) დაახლოებით არის 530,000$მ^3$; PRMS–ის გაფართოების, ჩამკეტი სარქველის და დგუშის სადგურის ადგილებიდან დროებით მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობებია 2,000$მ^3$, 5,700$მ^3$ და 3,600$მ^3$ შესაბამისად. SCPX ESIA–ს დამატების საბოლოო ანგარიშის ქვეთავები 5.2.7 და 5.6 განახლდა ამ ცვლილებების აღსაწერად.	5.2.7, 5.6
ESIA–ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ცალკე თავი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, სადაც ასახული იქნება წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობები, სახეობები, კატეგორიები და შესაბამისად მათი მართვის ღონისძიებები (შეგროვება, დროებითი განთავსება, შენახვა, გადაცემა).	340	ESIA–ს დამატების მე–5 თავში (ქვეთავი 5.9.5) და SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის მე–5 თავში ((ქვეთავები 5.6.2 და 5.8.3) მოცემულია პროექტის მიერ წარმოქმნილი სხვადახვა ტიპის და კატეგორიის ნარჩენების სავარაუდო მოცულობები, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ფაზებზე. ზემოთხსენებულის გარდა, SCPX პროექტის მიერ შემუშავებული იქნა ნარჩენების მართვის გეგმა (SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის დანართი D, თავი 10), რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს: • ნარჩენების იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია • ნარჩენების იერარქია და მათი მინიმუმამდზე შემცირების სტრატეგია (შემცირება წყაროსთან, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, დამუშავება, სტაბილიზება და სწორად განთავსება) • ნარჩენების მართვა (შეგროვება, სეგრეგირება, შენახვა, დამუშავება, ტრანსპორტირება და განთავსება და დოკუმენტირება)	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		• მონიტორინგი და ანგარიშგება.	
ვინაიდან წნევის მარეგულირებელ და გამზომ სადგურ PRMS-ზე გარკვეული ცვლილებები განიცადა მავნე ნივთერებათა გაფრქვევის წყაროებმა (არსებული გაფრქვევის წყაროებს დაემატა გაზზე მომუშავე ორი გამაცხელები წყლის ავზი; ასევე, დგუშის სადგურზე გაზზე მომუშავე გენერატორები შეიცვალა დიზელის საწვავზე მომუშავე გენერატორებით), ამიტომ საქართველოში მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის თანახმად, ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, სავალდებულოა შემუშავებულ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებულ იქნას „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #408 დადგენილება „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“).	341	პროექტმა აიღო ვალდებულება (14-10) უზრუნველყოს ყველა საჭირო ნებართვის მიღება ნებისმიერი სახის ემისიის არსებობამდე. PRMS–ის და დგუშის სადგურისთვის ექსპლუატაციის ფაზაზე პროექტი გამოთვლის დამაბინძურებლების მაქსიმალური დასაშვები ემისიის ლიმიტების წინასწარ ნორმებს საწვავზე მომუშავე დანადგარებისთვის და შესაბამისი დანადგარის ამოქმედებამდე შეათანხმებს ამ ნორმებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. როგორც წარსულში, ახლაც ექსპლუატაციის ფაზის წინასწარი გამოთვლები წარმოდგენილი იქნება სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესის მეორე ფაზაზე, რათა მიმდინარე სავარაუდო ემისიები წარმოდგენილი იყოს საინჟინრო პროექტის დასრულებამდე.	-
გზშ-ს ანგარიშში საკვლევი უბნების კლიმატური მონაცემები შეფასებული უნდა იყოს მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით.	342	CSG1–ზე (აზერბაიჯანის საზღვართან) და PRMS–ზე (თურქეთის საზღვართან) არსებული სადგურებიდან მიღებული მონიტორინგის მონაცემები, რომლებიც უწყვეტად იწერება 2008 წლის შემდეგ, გამოყენებული იყო კლიმატის ფონური პირობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ჩაითვალა, რომ მილსადენის მინაკვეთების სიახლოვეს არსებული კლიმატური პირობების შესახებ, ეს მონაცემები მონაცემები უახლესია.	-
გზშ-ს ანგარიშში ანდეზიტები, ბაზალტები და დოლერიტები აღწერილია, როგორც „მცირე სიღრმის	343	პროექტმა შეცვალა ტექსტი შენიშვნის გათვალისწინებით; ახლა ანგარიშში აღნიშნულია, რომ ანდეზიტი, ბაზალტი და დოლერიტი	7.2.3.1 7.4.3.1

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
ინტრუზიული ქანები". აღნიშნული ქანები ტიპიური ეფუზიური (ხმელეთზე ან ზღვის ფსკერზე ამონთხეული) ქანებია. აღნიშნული საკითხი საჭროებს შესწორებას.		ეფუზიური ქანებია.	
გამომდინარე იქიდან, რომ მილსადენის დამატებითი უბანი მდებარეობს მურა ნახშირის საბადოს განთავსების რეგიონში, საჭიროა გრუნტების ანალიზი pH სიდიდეზე. ორგანიკით მდიდარი გრუნტები, როგორც წესი, მჟავე რეაქციით ხასიათდებიან. pH სიდიდის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გრუნტების აგრესიულობის დასადგენად.	344	შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტის გასწვრივ ნიადაგის კოროზიულობა განხილული იქნა SCPX მილსადენისთვის ჩატარებული კათოდური დაცვის (CP) კვლევის ფარგლებში. CP კვლევის დროს განხილული იქნა არსებული SCP/BTC მილსადენების კათოდური დაცვა, იქ სადაც ეს მილსადენები SCPX მილსადენის პარალელურად გადის და იმ ადგილებში სადაც SCPX მილსადენი უხვევს BTC/SCP მილსადენების მარშრუტებიდან ჩატარდა ნიადაგის რეზისტენტულობის ტესტი. SCP/BTC მილსადენებიდან მიღებული ინფორმაციის და რეზისტენტულობის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნიადაგის კოროზიულობის (აგრესიულობის) განსაზღვრა და შესაბამისად მოხდა მილის დამცავი საფარით დაფარვის და CP სისტემის დაპროექტება.	-
საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ჰაბიტატების საკონსერვაციო ღირებულება შეფასებულია როგორც დაბალიდან საშუალო ღირებულების მქონე. საჭიროა გზშ-ს ანგარიშში დაზუსტდეს ის კრიტერიუმები და მეთოდიკა რის საფუძველზეც განხორციელდა აღნიშნული შეფასება.	345	ჰაბიტატების ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია ESIA–ს დამატების ქვეთავში 3.9.6.5. ჰაბიტატების მეცნიერული ღირებულება ბუნების კონსერვაციის თვალსაზრისით შეფასდა ფართოდ აღიარებული კრიტეიუმების გამოყენებით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბუნებრივობა, გავრცელება, იშვიათობა და მრავალფეროვნება. იშვიათობა და გავრცელება შეფასდა რამდენიმე სკალის მიხედვით: შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტის გასწვრივ და ინფრასტრუქტურების განთავსების ადგილებზე გავრცელების კონტექსტში, გარემომცველი ეკოსისტემის კონტექსტში და ნაციონალური და საერთაშორისო სკალის მიხედვით. ESIA–ს დამატების მე–3 თავის ცხრილში 3–10 მოცემულია ეკოლოგიური რეცეპტორის რამდენიმე კატეგორიაში განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლებიც იცვლება	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		„ძალიან დაბალიდან“ „ძალიან მაღალ“ მნიშვნელობამდე სენსიტიურობის თვალსაზრისით და სხვადასხვა ჰაბიტატისა და სახეობის ღირებულების და ეკოლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით.	
გზშ-ს ანგარიშში და მის დამტებით ნაწილში გამოყენებული გეოლოგიური ტერმინოლოგია გაუმართავია. ტექსტში გვხვდება ინგლისური ტერმინები „დეპოზიტები“, „რელევანტური“. აღნიშნული ტერმინები ინგლისურიდან ქართულად რამდენიმე მნიშვნლეობით ითარგმნება და ვერ გვაძლევს სათანადო წარმოდგენას კონკრეტულ გეოლოგიურ სიტუაციაზე. შესაბამისად საჭიროა მოხდეს კორექტირება აღნიშნული ტერმინოლოგიის.	346	ტექსტის ზოგიერთ ნაწილში გამოყენებულია ტერმინი „დეპოზიტი“; ეს ტერმინი შეიცვლება ტერმინით „დანალექი“; ხოლო ტერმინი „რელევანტური“, ტერმინით "შესაბამისი".	7.2
იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება დროებითი ან მუდმივი სამომხმარებლო გზების მშენებლობა, საჭიროა ინფორმაცია მოცემული იყოს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოსადგენ ანგარიშში.	347	დგუშის სადგურთან და ჩამკეტ სარქველთან მისასვლელი მუდმივი გზები შეფასდა SCPX ESIA–ს დამატების და SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ფარგლებში, შესაბამისად. ნებისმიერი დამატებითი გზა, სავარაუდოდ დროებითი იქნება (მხოლოდ მშენებლობის დროს). მათი მართვა მოხდება სამშენებლო კონტრაქტორების მიერ, რომლებიც მოიპოვებენ ყველა საჭრო ნებართვა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.	-
პროექტის უშუალო ზეგავლების სფეროში მოქცეულია 4 დასახლებული პუნქტი: ხაიში, არალი, ნაოხრები და ახალი დასახლება - დურნუკი, რომლებთანაც მიმდინარეობს კონსულტაციები და ჯერ არ დამთვრებულა. საჭიროა მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება და საბოლოო შეთანხმების მიღწევა.	348	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან (ESIA–ს დამატებასთან დაკავშირებული ქმედებებით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებების ჩათვლით) კონსულტაციის სტრატეგია მოიცავდა შემდეგს: 1. საკონსულტაციო შეხვედრები PAC–ების ძირითად წარმომადგენლებთან (PAC–ების არჩეული და/ან დანიშნული ლიდერების ჩათვლით) 2. შინამეურნეობების კვლევების ფარგლებში ჩატარებული	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		გასაუბრებები PAC–ის მცხოვრებთა რეპრეზენტატიულ ჯგუფებთან, პროექტთან დაკავშირებით მათი აღქმების, შეხედულებების და პრობლემური საკითხების შესახებ 3. ESIA–ს საჯარო განხილვის შეხვედრები თითოეულ სოფელში. საკონსულტაციო შეხვედრების დროს PAC–ების მიერ წარმოდგენილი პრობლემური საკითხები მოცემულია ESIA–ს დამატების ქვეთავში 9.5.2; ESIA–ს საჯარო განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები მოცემულია ESIA–ს დამატების დანართის C2 ქვეთავში 4.7. SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის დანართში C (PCDP) აღწერილის შესაბამისად, წინასამშენებლო და სამშენებლო ფაზებზე კონსულტაციის პროცესი გაგრძელდება და განხორციელდება BP–ს სამშენებლო კონტრაქტორების მიერ.	
გზშ-ს ანგარიშში არის სტილისტური და ორთოგრაფიული შეცდომები, რაც საჭიროებს შესწორებას.	349	ESIA–ს დამატება, საბოლოო ვარიანტის მომზადებამდე და წარდგენამდე, გადახედილი იქნა სტილისტური და ბეჭდვითი შეცდომების მინიმუმამდე შესაცმირებლად.	-
გზშ-ს ანგარიშში ახალციხის კაუსტობიოლითები აღწერილია, როგორც ბურა ნახშირები. ტერმინი არასწორია, უნდა იყოს მურა ნახშირი.	350	ESIA–ს დამატების ქართულ ვარიანტში ტექსტი გასწორდება და ტერმინი შეიცვლება „მურა ნახშირით“.	7.2.3.2
ESIA ანგარიშის თავდაპირველი ვარიანტი დამტკიცდა 2013 წლის ივნისში 56კმ სიგრძის მილსადენისთვის. ახალ დოკუმენტში (ESIA-ს დამატება) დამატებითი მონაკვეთის საწყის წერტილად განხილულია კმ57. გთხოვთ განმარტოთ, გამოტოვებულ 1კმ-იან მონაკვეთთან დაკავშირებით წარმოშობილი გაუგებრობა	351	განმარტებითი ტექსტი დაემატა ESIA–ს დამატების საბოლოო ანგარიშს. გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 329.	5.3.2
ნებართვა გაცემული იყო 56კმ სიგრძის მილსადენისთვის. შესაბამისად, როცა საუბარია კმ56.6-ზე, ეს წარმოშობს	352	განმარტებითი ტექსტი დაემატა ESIA–ს დამატების საბოლოო ანგარიშს. გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 329.	5.3.2

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
გაუგებრობას. 600მ მნიშვნელოვანი სიგრძის მონაკვეთია. გთხოვთ განარტოთ გაუგებრობა და მიუთითოთ კილომეტრ ნიშნულები სწორად. სამინისტრო დოკუმენტს იყენებს სახელმძღვანელოდ და მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ყველაფერი იყოს გასაგები.			
რა ზემოქმედებას მოახდენს ვიბრაცია არქეოლოგიურ ძეგლებსა და მოსახლეობაზე?	368	მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სამშენებლო დერეფნიდან 200მ მანძილზე არქიტექტურული ძეგლები იდენტიფიცირებული არ არის, ასე რომ ასეთი ნაგებობების ვიბრაციით გამოწვეული ზიანის რისკი არ არსებობს. რაც შეეხება ვიბრაციის ზემოქმედებას მოსახლეობაზე, როგორც ეს აღნიშნულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 10.9.3, ადამიანები ზოგადად ვიბრაციას გრძნობენ მაშინ, როცა ვიბრაციის დონეები არის დაახლოებით 1.5mms-1. თუმცა გარკვეული გარემო პირობების არსებობის შემთხვევაში ვიბრაციის შეგრძნება შესაძლებელია 0.55mms-1 დონეზეც. ქვეთავში 10.9.3 ასევე აღნიშნულია, რომ ვიბრაციის ზღვრული დონე, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს შენობა არ არის აშკარა, თუმცა აშშ-ს ზედაპირზე განხორციელებული აფეთქებების უწყება თვლის, რომ ვიბრაციის დონე, რომელიც 38mms-1 მაჩვენებელზე დაბალია არ გამოიწვევს ნაგებობების დაზიანებას. ბულდოზერები და მიწის მოსასწორებელი მანქანები როგორც წესი წარმოქმნიან 2mms-1 დონეზე ნაკლებ ვიბრაციას 5მ-ზე, ხოლო დატკეპნის დანადგარები 0.35mms-1 დონეზე ნაკლებ ვიბრაციას 30მ-ზე. შტაბელების გადაზიდვა როგორც წესი წარმოქმნის 3mms-1 დონეზე ნაკლებ ვიბრაციას 50მ-ზე. შესაბამისად, სამშენებლო დანადგარების ვიბრაციით შენობების დაზიანების მნიშვნელოვანი რისკი არ არ არსებობს. მშენებლობის სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაცია	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		იშვიათადაა იმდენად ძლიერი, რომ პირდაპირ გამოიწვიოს ბზარების გაჩენა კედლებსა და ჭერში, დააშოროს ქვის ბლოკები ან წარმოქმნას ბზარები შენობის ფუნდამენტში, რამდენადაც სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციის დონეები ბევრად დაბალია, იმ დონეებთან შედარებით, რომლებმაც შესაძლოა გამოწვიოს ასეთი სახის დაზიანებები. თუმცა, კონტრაქტორის მიერ დაბინძურების პრევენციის განხორციელების გეგმის ფარგლებში შერჩეული იქნება ვიბრაციის მიმართ სენსიტიური ადგილები და ასევე განისაზღვრება ვიბრაციის მონიტორინგის დეტალები მძიმე ტექნიკის გადაადგილების დაწყებამდე და გადაადგილების დროს. შემდგომი ქმედებები ვიბრაციის მონიტორინგის შედეგებზე იქნება დამოკიდებული (ვალდებულება 25-13). ვიბრაციის მინიმუმამდე შესამცირებლად კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ ქმედებებს: 1. მოხდება საბურავების სწორი წნევის მონიტორინგი და შენარჩუნება 2. მოუპირკეთებელ გზებზე და სამშენებლო დერეფანში პროექტის სატრანსპორტო საშუალებებისთვის დაწესდება სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/სთ–მდე 3. ხშირად გამოყენებული მისასვლელი გზების ზედაპირი რეგულარულად შემოწმდება და შეკეთდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს გზების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება შესაძლო ვიბრაციის დონეების შესამცირებლად, კერძოდ იქ, სადაც არამყარი ნაგებობები გზასთან ახლოს მდებარეობს (გახდება კონკრეტული უბნისთვის ჩატარებული კვლევის საგანი).	

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
PRMS-დან ხმაურის რა დონეებია მოსალოდნელი?	377	ESIA–სთვის ჩატარებული ფონური ხმაურის კვლევის და ხმაურის მოდელირების შედეგად დადგინდა, რომ ექსპლუატაციის ფაზაზე PRMS–სგან წარმოქმნილი ხმაურის დონეები უახლოეს რეცეპტორებთან არ იქნება უახლოეს საცხოვრებელ რეცეპტორთან არსებულ ფონური ხმაურის დონეებზე 3dB–ით მეტი. ეს მცირე ზრდა ფონური ხმაურის დონეებში მიჩნეული იქნა დაბალი მნიშვნელობის ზემოქმედებად.	-
თუ მიწის ნაკვეთი გაიყოფა ორად, მოხდება თუ არა ნაკვეთის დაბრუნება?	382	თუ მიწის ნაკვეთების მცირე დარჩენილი ნაწილები არარენტაბელურია მათი დაკავების გამო, შესაძლოა ამ მიწების როგორც „უპატრონო მიწის“ კომპენსაცია. თუ მიწის ნაკვეთი კვალიფიცირდა როგორც „უპატრონო მიწა“, ასეთი შემთხვევები სათითაოდ იქნება განხილული მიწის მესაკუთრის და/ან მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე. მშენებლობის და აღდგენის სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიწის შესყიდვის დერეფანი დაუბრუნდებათ მათ წინა მფლობელებს სასოფლო–სამეურნეო სარგებლობისთვის, თუმცა მიწის ხელახალი გამოყენება მოხდება გარკვეული შეზღუდვებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიწის უკან დაბრუნების პროცესის დროს, წინა მფლობელებს, რომლებისგანაც SCP Co.–მ შეისყიდა მიწა მიწის შესყიდვის დერეფანში აღუდგებათ მიწით სარგებლობის უფლება მიწის შესყიდვის დერეფანში არსებულ მიწაზე, რომელიც იმ დროიდან SCP Co.–ს მფლობელობაში იქნება. მიწის შესყიდვის დერეფანში მიწის სასოფლო–სამეურნეო მიზნებით გამოყენება შეზღუდული იქნება ზონებში 1 და 2.	-
წერილის თანახმად, საჯარო განხილვის პერიოდში გაირკვა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში 5.3 კმ-იანი მილსადენის მარშრუტი 60კმ ნიშნულთან 2მ-ის მანძილზე უახლოვდება არსებულ (მესამე მხარის)	408	განხილული ალტერნატივების და შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის შერჩეული შეცვლილი მარშრუტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ESIA–ს დამატების შესწორებული ვარიანტის ქვეთავში 4.3.1. სურათზე 4–3	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
მილსადენს, რამაც განაპირობა საპროექტო 5.3კმ სიგრძის მილსადენის გარკვეულ მონაკვეთზე კორექტირების შეტანის აუცილებლობა. აქვე მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად რომელ კილომეტრ ნიშნულზეა დაგეგმილი ცვლილება, რა სიგრძის მონაკვეთი ექვემდებარება პროექტში ცვლილების შეტანას და რა მანძილით მოხდება კორექტირებული მონაკვეთის გადატანა საპროექტო მილსადენიდან და რა მანძილით არის დაშორებული არსებული მესამე მხარის მილსადენიდან.		ნაჩვენებია მესამე მხარის გაზსადენი, რომლის გამოც საჭირო გახდა მარშრუტის შეცვლა, ასევე SCP გაზსადენი და SCPX მარშრუტის შეფასებული ვარიანტები. სურათზე 4–3 ჩანს, რომ: 1) შემოთავაზებული შეცვლილი მარშრუტი წარმოადგენს მონაკვეთს SCPX კმ58.7 – SCPX კმ60.4 შორის 2) შეცვილილი მარშრუტის სიგრძეა 1700მ 3) შეცვილილი მარშრუტი მდებარეობს ადრე შემოთავაზებული მარშრუტის ჩრდილოეთით; მისი ყველაზე შორი წერტილი დაცილებულია ადრე შემოთავაზებული მარშრუტისგან 225მ–ით 4) SCPX მილსადენის შემოთავაზებული მარშრუტი გადის მესამე მხარის არსებული გაზსადენის პარალელურად დაახლოებით SCPX კმ58 – კმ61 შორის; მათ შორის დაშორება იცვლება 30მ–დან 200მ–მდე და მილსადენები იკვეთება კმ60.3–თან.	
გზშ-ს ანგარიშში ასახული უნდა იქნას ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებები.	409	პროექტის შემარბილებელი სტრატეგიის მიზანია უზრუნველყოს წარმატებული აღდგენა და კომპლექსური აღდგენა (იხ. ESIA–ს დანართი D), ისე რომ დროებით შეშფოთებული უბნების ჰაბიტატები აღდგეს თავდაპირველთან მიახლოებულ მდგომარეობამდე და მოხდეს ამ უბნების ხელახალი კოლონიზაცია იმ სახეობებით, რომლებიც შესაძლოა გადანაცვლებულიყო მშენებლობის დროს. მშენებლობით გამოწვეული ფაუნის ნებისმიერი გადანაცვლება იქნება დროებითი ხასიათის და სახეობის არსებობაზე ან ის რაოდენობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს. სპეციფიკური მოწყვლადი ჰაბიტატის ან ეკოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროექტი განიხილავს კონკრეტულად ჰაბიტატისთვის ან სახეობისთვის საჭირო შემარბილებელი ღონისძიების საჭიროებას; განისაზღვრა რომ მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის და დასავლეთის	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		მონაკვეთებისთვის დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები საჭირო არ არის. ESIA მოიცავს რამდენიმე ვალდებულებას, რომლებიც ეხება მშენებლობის შემდგომ ეკოლოგიურ მონიტორინგს (OP141, 3-14, 17-07, 17-10) (შენიშვნა ID 319). ეს ვალდებულებები ასევე ეხება ჰაბიტატების აღდგენის მონიტორინგს, რათა ცხოველის სახეობებს ჰქონდეთ შეშფოთებულ ადგილებში დაბრუნების შესაძლებლობა.	
წერილს თან ახლავს საკვლევ მონაკვეთზე ჩატარებული კულტურული მემკვიდრეობის კვლევის შედეგები. აღნიშნული შედეგების თანახმად, მთელ რიგ მონაკვეთებზე, მცენარეული საფარის და მათში გავრცელებული ქვეწარმავლების გამო, ვერ მოხერხდა ტერიტორიის სრულყოფილად დათვალიერება და საქმიანობის ჩატარების განახლება დაიგეგმა გვიან შემოდგომაზე. გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანების დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე, საპროექტო მონაკვეთზე უნდა განხორციელდეს კულტურული	410	მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის შემოთავაზებული შეცვლილი მარშრუტის გასწვრივ პროექტის ფარგლებში ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის ორი კვლევა. პირველი კვლევა, რომელიც ჩატარდა 2014 წლის ივნისში ჩაითვალა არასაკმარისად, რამდენადაც კვლევის დროს მცენარეული საფარი იყო მაღალი, რამაც ხელი შეუშალა ზუსტი შედეგების მიღებას. მეორე კვლევა ჩატარდა 2014 წლის ივლისში, როცა სასოფლო–სამეურნეო საქმიანობების და მაღალი ტემპერატურის გამო მაღალი მცენარეულობა აღარ იყო წარმოდგენილი და შესაძლებელი გახდა სრულყოფილი კვლევის ჩატარება. ორივე ანგარიში წარედგინა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საიდანაც მივიღეთ პოზიტიური დასკვნა ამ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელმაც საშუალება მისცა პროექტს ზემოქმედების ქვეშ არსებული არქეოლოგიური უბნების მე–2 ფაზის კვლევის ჩატარების შემდეგ დაეწყო მშენებლობა, კვლევის ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების და ESIA–ს დამატებაში განხილულის შესაბამისად.	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
მემკვიდრეობის კვლევა და შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან.			
საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია			
ის შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც მოცემულია SCPX ESIA-ს დამატებ-ში (Mitigation Measure 25.10) და SCPX ESIA-ში (Mitigation Measure A30) აფეთქების სამუშაოებთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი მოსახლეობის და შინაური პირუტყვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. საჭიროა გარკვეული პერიოდის წინსწრებით მოსახლეობის გაფრთხილება გამაფრთხილებელი პლაკატების გამოქვეყნებით, აგრეთვე მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი გაფრთხილება ვერბალურად. უშუალოდ აფეთქების წინ, ხმოვანი სიგნალით და გამაფრთხილებელი ნიშნებით გაფრთხილება და ა.შ. ეს ყველაფერი უნდა იყოს დეტალურად აღწერილი შესაბამის მეთოდიკაში (Method Statement), რომელიც შეთანხმდება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ (GOGC).	312	აფეთქების შემარბილებელი ღონისძიებებლი აღწერილია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ESMMP–ს ქვეთავში 11.4.8.2 – „ვიბრაციის კონტროლის ღონისძიებები“ და მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: "კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე უნდა გამოაქვეყნოს განცხადება, სადაც აღწერილი იქნება აფეთქების სამუშაოები, უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ზომები და სიგნალები, რომლებიც გამოყენებული იქნება აფეთქების ზონებში. კონტრაქტორმა მინიმუმ 3 საათით ადრე აფეთქების დაწყებამდე უნდა გააფრთხილოს ახლო მდებარე შენობებში და მიწაზე მყოფი ადამიანები, რათა დაცული იყვნენ როგორც ადამიანები, ისე მათი საკუთრება და პირუტყვი. ნებისმიერი აფეთქების განხორციელებამდე, კონტრაქტორის წარმომადგენელი დარწმუნდება, რომ პერსონალს და აღჭურვილობას საფრთხე არ ემუქრება და რომ ბარიერები, სიგნალები და დარაჯები თავის ადგილას არიან, რათა ადამიანები არ შეუშვან სახიფათო ზონაში. ხმოვანი განგაშით აღჭურვილი გამაფრთხილებელი სისტემა გამოყენებული იქნება მოახლოებული აფეთქების შესახებ მოსახლეობის გასაფრთხილებლად“. ადამიანების და პირუტყვისთვის რისკების შესამცირებლად ESIA–ს დამატების ESMMP–ში ჩართული იქნა დამატებითი, ახალი ვალდებულებები X12-01: "ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდება აფეთქებები და რისკის შეფასების შედეგად გამოვლინდება მოსახლეობის ან საკუთრებისთვის რისკების შემცირების საჭიროება, გამოყენებული იქნება სპეციალური მასალა, რომლითაც	ვალდებულებები X12-01, X12-02

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		ხდება ასაფეთქებელი ტერიტორიის დაფარვა ან გატარდება სხვა საჭირო ღონისძიებები“ და X12-02: "ასაფეთქებელი ტერიტორიების გარშემო დაწესდება და განხორციელდება საზოგადოებისთვის აკრძალული ზონები". მილსადენის კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება აფეთქების სამუშაოების მეთოდოლოგიის შედგენაზე, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება GOGC–თვის.	
დოკუმენტში ნათქვამია (თავი 10.12.2.2) მშენებლობის პერიოდში გარკვეული ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკზე, მათ შორის ტუბერკულოზის, ტულარემიის, რესპირატორული დაავადებების. ვინაიდან მშენებლობის დროს (ექსპლუატაციის პერიოდშიც) მოსალოდნელია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლების ინტენსიური მონაწილეობა პროექტში, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება შიდსისა და აივ ინფექციის გავრცელების რისკის შესახებ. კარგი იქნება თუ მშენებლობის დაწყებამდე მოხდება მიმდებარე მოსახლეობაში შიდსით და აივ ინფექციით დაავადებების პრევენციული კამპანიის წარმართვა (Mitigation Measure 31.10 არ არის საკმარისი)	313	SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის დანართში D (ESMMP) მოცემული ვალდებულების 31-15 მიხედვით, პროექტი ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას ინფექციური დაავადებების და STI–ების შესახებ ბანაკებთან ახლოს მდებარე დასახლებებისთვის. გარდა ინფორმაციის გავრცელებისა, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებისთვის განხორციელდება პროგრამა და პროექტის მუშახელს ჩაუტარდება სემინარი ამ საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად, SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშში მოცემული ვალდებულების 31–14 შესაბამისად: „განხორციელდება მომუშავე პერსონალის საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები იმ რისკებისა და აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან (მათ შორის, შიდს-თან) და სხვა გადამდებ დაავადებებთან (მაგ. ტუბერკულოზთან)“.	-
თავში 10.3.2 ნათქვანია, რომ კმნ 57 და PRMS კმნ 1 დაფიქსირებულია აზბესტოცემენტის ნარჩენები. არც SCPX ESIA-ს დამატებ-ში და არც SCPX ESIA-ში არ არის აღწერილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიება	314	SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის, დანართში D (ESMMP) მოცემულია ვალდებულება 6-02, რომელშიც ნათქვამია „მშენებლობის დაწყებამდე დაბინძურების ყველა ცნობილი კერა (პროექტის ფიზიკური კვალის ფარგლებში) გასუფთავდება“. გარდა ამისა, ESMMP–ში (დანართი D, ქვეთავი 10.4.3.6) ასევე აღნიშნულია, რომ კონტრაქტორის ნარჩენების მართვის განხორციელების გეგმაში	დანართი D (ESMMP), ქვეთავი 10.4.3.6

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
თუ როგორ მოხდება ამ მასალის გაუვნებელყოფა და საბოლოო განთავსება უნდა შემუშავდეს შესაბამისი მეთოდიკა (Method Statement) და შეთანხმდეს GOGC-სთან.		მოცემული უნდა იყოს სახიფათო ნარჩენების მოცილების, შეფუთვის და გადაზიდვის მეთოდები. ამ შენიშვნის პასუხად ESMMP–ის ქვეთავი 10.4.3.6 შეიცვალა და ახლა მოიცავს ძირითად პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს აზბესტის ნარჩენების გადატანი და განთავსების დროს: კონტრაქტორი შეიმუშავებს სამუშაოს შესრულების მეთოდიკას, სადაც აღწერილი იქნება როგორ მოხდება აზბესტის შემცველი მასალების და აზბესტით დაბინძურებული ნიადაგის მართვა. სამუშაოს შესრულების მეთოდიკა მომზადდება კონტრაქტორის მიერ და ხელმისაწვდომი იქნება GOGC-თვის. სადაც შესაძლებელია, მითითება გაკეთდება საერთაშორისო სტანდარტებზე (როგორც მოწინავე პრაქტიკის მეთოდოლოგიის წყარო). აზბესტის ნარჩენები განთავსდება აზბესტის ნარჩენების შესანახ სპეციალურ კონტეინერში, რუსთავში არსებულ BP-ს ნაგავსაყრელზე. სამუშაოს შესრულების მეთოდიკის შინაარსი დამოკიდებული იქნება თითოეულ ადგილას იდენტიფიცირებულ აზბესტის ტიპსა და რაოდენობაზე, თუმცა მეთოდიკაში სავარაოდოდ იქნება გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: 1. ტერიოტრიის მომზადება და მისასვლელის შეზღუდვა 2. შესაბამისი პერსონალის მიერ დამცავი საშუალებების გამოყენება 3. გასუფთავების პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილის ჩათვლით: • უბანზე არსებული აზბესტის ნარჩენების რაოდენობის და ტიპის შეფასება • აზბესტის ტიპის და რაოდენობის შესაბამისის გასუფთავების მეთოდის შერჩევა • ვიზუალური დათვალიერება, იმის განსასაზღვრად, რომ უბანი სათანადოდაა გაწმენდილი • აზბესტის მასალის სათანადო შენახვა, გადატანა და მარკირება	

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
თავში 5.4.4 ნათქვამია, რომ SCPX 57 და 62.3 კმ ნიშნულებს შორის საჭირო იქნება დამატებითი მიწის ფართობი აფეთქების ოპერაციის შემდეგ დაგროვილი ქვების განთავსებისა და გადამუშავებისთვის. საჭიროა ანგარიშში მითითებული იქნას ამ ნაკვეთის ადგილმდებარეობა, კატეგორია, ნიადაგის აღწერა/მდგომარეობა და გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები.	315	ქვების დასაწყობების და გადამუშავებისთვის საჭირო ფართობის გათვალისწინებით მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სამშენებლო დერეფნის სიგანე არის 46მ. დამატებითი მიწის ფართობი უკვე განისაზღვა მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სამშენებლო დერეფნისთვის საჭირო მიწის ადგილმდებარეობის დადგენის დროს. მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის განლაგების ადგილი მოცემულია რუკებზე, დანართში A. შესწავლილი იქნა სამშენებლო დერეფნის მთლიანი ფართობი; ჩატარდა ნიადაგების კვლევაც. შესაბამისად, სამშენებლო დერეფნის დამატებითი ფართობის შესახებ ფონური ინფორმაცია მოცემულია ESIA-ს დამატების თავში 7 (კერძოდ, ქვეთავი 7.3). ESIA-ს დამატებას დაემატა ახალი ვალდებულება (X2-01), იმ მიზნით, რომ გაადვილდეს ქვების ხელახალი გამოყენება უბანზე ან უბნის გარეთ და შესაძლებლობის შემთხვევაში დავიწროვდეს სამშენებლო დერეფანი. ვალდებულებაში ნათქვამია: „პროექტი ითანამშრომლებს მილსადენის მშენებლობის კონტრაქტორთან, იმის დასადგენად პრაქტიკულია თუ არა სამშენებლო უბნის გარეთ არსებული ადგილობრივი ქვის სამტეხლოს გამოყენება, კმ56.6-62.3 შორის მშენებლობით დაზიანებული მიწის ფართობის შემცირების მიზნით“. SCPX ESIA-საბოლოო ანგარიშის დანართი D-ს (ESMMP), ქვეთავის 7.4.9.1 მიხედვით სამშენებლო კონტრაქტორს მოეთხოვება ნარჩენი ნიადაგის და ქვების ტექნიკური და ეკოლოგიური შეფასება.	ვალდებულება X2-01
არ არის აღწერილი რა ვიზუალური ნიშნებით უნდა იქნას დადგენილი ჯილეხის საფრთხე (ცხოველთა სამარხი), აგრეთვე მოცემული შემარბილებელი ღონისძიება (Mitigation Measure 6.25) არ არის საკმარისი პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. უნდა იყოს მოცემული დეტალური პროცედურა - მაგ. პერსონალი	316	SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ESMMP-ში (დანართი D) მოცემულ ვალდებულებაში 6-22 ნათქვამია: „კომპანია ჩაატარებს კომპლექსურ ექსპერტიზას ჯილეხთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით“. ვალდებულებაში 6-22 მოცემული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, SCPX, პროექტის შემადგენელი ნაწილის	დანართი D (ESMMP)

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
ქარის საწინააღმდეგო მხრიდან უნდა მოშორდეს სარისკო ადგილს, მძიმე ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა იქნას გაყვანილი აღნიშნული ადგილიდან, პერსონალი ხელით არ უნდა შეეხოს ნიადაგს ამ უბანზე და ა.შ.		სახით შეიმუშავებს სახელმძღვანელოს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ჯილეხის მართვის პროცედურა. სახელმძღვანელო დოკუმენტში მოცემული იქნება რისკის შეფასების მექანიზმი და გამოყენებული იქნება შემარბილებელი ღონისძიებები ჯილეხის ინფექციის პრევენციისთვის. ეს სახელმძღვანელოები სავარაუდოდ დაეფუძნება დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვისადა უსაფრთხოების სახელმძღვანელო დოკუმენტს HSG174 (ჯილეხი: უსაფრთხო სამუშაო პროცესი და ინფექციის პრევენცია) და მათში წარმოდგენილი იქნება ჯილეხის მართვის მექანიზმები. სახელმძღვანელოში მითითებული იქნება შემდეგი ღონისძიებები: • შესაძლო დაბინძურების (მაგ. ცხოველის ნაშთი) აღმოჩენის შემთხვევაში ჩასატარებელი ქმედებები, ჯილეხის შესაძლო რისკის შეფასების, არა საჭირო პერსონალის უბნიდან გაყვანის, მისასვლელის შეზღუდვის და შემდგომი გამოკვლევის ჩატარების და შესაბამისი რჩევის მიღების მიზნით კომპეტენტური პერსონალის ინფორმირების ჩათვლით • შესაბამისი პერსონალის მიერ დამცავი აღჭურვილობის გამოყენება • უბანზე, სადაც არსებობს ჯილეხით დაბინძურების რისკი, ჰიგიენის წესების დაცვა • ინფორმაცია და ტრეინინგი ინფექციის არსებობის ალბათობის და კონტროლის ღონისძიებების შესახებ • საჭიროებისამებრ ჯანმრთელობის მდგომარეობის მეთვალ-ყურეობა	
თავში 10.3.3.1 ნათქვამია, რომ PRMS და ჩამკეტი სარქველისთვის დამატებითი მიწის ფართობი მოპირკეთდება სხვა მასალით, ამ შემთხვევაში მიწის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება სამუდამოდ. ამიტომ,	317	PRMS-სთვის საჭირო შეცვლილი ფართობი და ნიადაგის ზედა ფენის დასაწყობების ადგილი მოცემულია შეზღუდვების რუკაზე, ESIA-ს დამატების დანართში A. როგორც ეს აღნიშნულია ESIA-ს დამატების ცხრილში 5-1 PRMS-ის მუდმივი ფიზიკური კვალი	ცხრილი 5-1, 5.2.7, 5.6

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
ანგარიშში უნდა აისახოს დამატებითი მიწის ფართობის მოცულობა, ფართობის კატეგორია, მოსახსნელი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობა, მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის საბოლოო განთავსების ადგილის GIS კოორდინატები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.		გაიზარდა 2ჰა-ით, ხოლო დროებითი ფიზიკური კვალი 1ჰა-ით. მუდმივი ფიზიკური კვალის ზრდა გამოიწვევს მუდმივად მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობის ზრდას დაახლოებით 420მ ^{3}-ით (იმ დაშვებით, რომ მოხსნილი ნიადაგის სისქეა 0.3მ). ჩამკეტი სარქველის მუდმივი ფიზიკური კვალის ფართობი გაიზარდა 0.1ჰა-ით 0.25ჰა-მდე (ESIA-ს საბოლოო ანგარიშის თავში ფართობი ბეჭდვითი შეცდომის გამო მოცემული იყო შეცდომით 2.5ჰა), როგორც ეს აღნიშნულია ESIA-ს დამატების ცხრილში 5-1. მუდმივი ფიზიკური კვალის ფართობის ზრდამ გამოიწვია მუდმივად მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობის ზრდა დაახლოებით 6,000 მ^3-ით (იმ დაშვებით, რომ მოხსნილი ნიადაგის სისქე არის 0.2მ). დგუშის სადგურის მუდმივი ფიზიკური კვალის ფართობი გაიზარდა 05.ჰა-ით 0.8ჰა-მდე, როგორც ეს აღნიშნულია ESIA-ს დამატების ცხრილში 5-1. მუდმივი ფიზიკური კვალის ფართობის ზრდამ გამოიწვია მუდმივად მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობის ზრდა დაახლოებით 1,700 მ^3-ით (იმ დაშვებით, რომ მოხსნილი ნიადაგის სისქე არის 0.2მ). ESIA-ს დამატების საბოლოო ანგარიშის ქვეთავები 5.2.7 და 5.6 შეიჩვალა შესაბამისად. PRMS უბანზე მიწა დაფარულია უხეში ბალახეულით, იშვიათად გვხვდება ბუჩქნარები და ქანების გაშიშვლებები, როგორც ეს აღნიშნულია SCPX ESIA-ს დამატების საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 7.4. ვალდებულებაში 3-01 ნათქვამია: „ინფრასტრუქტურის ტერიტორიებიდან მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენა (და ჭარბი ნიადაგის ქვედა ფენა) დასაწყობებული იქნება მშენებლობის ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილ ადგილას ლანდშაფტთან დაკავშირებულ სამუშაოებში მათ შემდგომ გამოყენებამდე“. ნიადაგის ზედა ფენის იმ ნაწილის მართვა, რომლის განთავსება უბანზე ვერ ხერხდება და არ	

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		არის საჭირო აღდგენის სამუშაოებისთვის, განხორციელდება SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დანართის D (ESMMP), ქვეთავში 7.4.9.1 აღწერილის შესაბამისად და შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით: ხელახალი გამოყენება, სამშენებლო დერეფნის/პროექტის ტერიტორიაზე განთავსება; ხელახალი გამოყენება უბნის გარეთ; უბნის გარეთ განთავსება. მოხდება უბნის გარეთ არსებული განთავსების ადგილების ბუნებრივი გარემოს შეფასება SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დანართის D (ESMMP), ქვეთავში 20.4.2.1 აღწერილის შესაბამისად. მიწა დგუშის სადგურზე დაფარულია სპონტანური მცენარეულობით (წარსულში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები, რომლებც ახლა აღარ ფუნქციონირებს) (SCPX ESIA-ს დამატების საბოლოო ანგარიშის ქვეთავი 7.7.3.1), ხოლო მიწა ჩამკეტი სარქველის ტერიტორიაზე დაფარულის სტეპის მცენარეულობთ SCPX ESIA-ს დამატების საბოლოო ანგარიშის ქვეთავი 7.7.3.1). მუდმივი ფიზიკური კვალიდან მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენა გამოყენებული იქნება ამ ინფრასტრუქტურებთან არსებული დროებითი უბნების აღდგენის სამუშაოების დროს ან მოხდება მისი მართვა ზემოთ წარმოდგენილი პრიორიტეტების მიხედვით.	
ანგარიში მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით შეიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ანგარიშში აისახოს შემდეგი ინფორმაცია - მიწის სამუშაოების მოცულობა მონაკვეთების (ფართობების) მიხედვით, მათ შორის ნიადაგის ზედა ფენის, გრუნტის, კდლოვანი ქანების, ქვების. სამშენებლო ბანაკებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობები, კატეგორია, ნიადაგური	318	გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 338–ზე პასუხი.	

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
მდგომარეობა, გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები. სამშენებლო ბანაკის სქემატური ნახაზი, ინფრასტრუქტურის ობიექტების ჩათვლით.			
მილსადენის და მისი ინფრასტრუქტურის ობიექტების ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს რეკულტივირებული მონაკვეთების მუდმივი მონიტორინგი.	319	SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშში აღებულია შემდეგი ქმედებების ჩატარების ვალდებულება: 1) BTC/SCP ინფრასტრუქტურის ლანდშაფტის მონიტორინგის არსებული პროგრამა გაფართოვდება და მოიცავს SCPX გასხვისების დერეფანს, ინფრასტრუქტურად და დროებით ადგილებს (ვალდებულება OP141). 2) მცენარეულობის აღდგენის და ბიოაღდგენის სამუშაოების წარმატების განსაზღვრის მიზნით (სახეობათა შემადგენლობის შესაბამისობის ჩათვლით) შეიქმნება მონიტორინგის გეგმა (ვალდებულება 3-14). 3) პროექტი იზრუნებს მიაღწიოს მცენარეული საფარის განახლებისა და სახეობათა მრავალფეროვნების (კერძოდ, სახეობრივი შემადგენლობის) მატების ტენდენციას აღდგენილ არეებზე – აღდგენისას საორიენტაციოდ გამოყენებულ იქნება მომიჯნავე არეები, რომლებიც არ ზიანდება პროექტით გათვალისწინებული საქმიანობით; განისაზვრება პროცენტული მსგავსებისა და საზიარო ნიშნების ინდექსები (ვალდებულება 17-07). 4) აღდგენითი სამუშაოების შემდეგ მცენარეული საფარის განახლების მონიტორინგი იქამდე განხორციელდება, სანამ პროექტის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები არ იქნება მიღწეული ამ მიმართულებით (ვალდებულება 17-10). ეს ვალდებულებები ასევე ეხება მილსადენის დამატებით მონაკვეთებს.	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
თავში 10.2.3 ნათქვამია, რომ ხევის სიმაღლის შემდგომმა შემცირებამ PRMS კმნ 2-თან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მილსადენის მთლიანობაზე. აქ უნდა დავუბრუნდეთ SCPX ESIA ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ვალდებულებებს, კერძოდ: მშენებლობის დაწყებამდე შეისწავლოს გადასაკვეთი მდინარეების არხების და ხევების ჰიდროლოგია. შემუშავდეს შესაბამისი გადაკვეთის პროექტები, წყლის მაქსიმალური ხარჯების, ნატანის მოძრაობის რეჟიმის, კალაპოტის სიღრმითი და ადგილობრივი გარეცხვის სიჩქარეების გათვალისწინებით. რაც უპირველესი პრევენციული ღონისძიება იქნება მილსადენის გაშიშვლების და დაზიანების თავიდან ასაცილებლად.	320	მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მარშრუტი დაიგეგმა ისე, რომ ის გვერდს უვლის ამ ხევს. SCPX პროექტმა განიხილა მილსადენის განლაგება და სამშენებლო დერეფნის გავრცელების არეალი ტოპოგრაფიული კვლევის შედეგების და ხევის არსებული გამოსახულებების საფუძველზე. ხევის ზედა ნაწილის ისტორიულად არსებულ შეფასებაზე, კამერალურ კვლევასა და უბნის ვიზიტზე დაყრდნობით, პროექტი მიიჩნევს, რომ ნაკლებ სავარაუდოა მილსადენისთვის რაიმე რისკს ქმნიდეს ხევის ზედა ნაწილის შესაძლო დეფორმაცია. ოპერაციების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში მოხდება ხევის ზედა ნაწილის მონიტორინგი, როგორც ეს აღწერილია ვალდებულებაში OP136: "გეოტექნიკურად არამდგრადი და ეროზიის შესაძლებლობის ადგილების მონიტორინგი გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაში". შენიშვნის გათვალისწინების მიზნით დამატებული იქნა ახალი ვალდებულება OP149 "ხევის სიახლოვეს ჩატარდება მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მშენებლობის შემდგომი შეფასება, რათა შემოწმდეს უბნის მდგომარეობა და განისაზღვროს არის თუ არა საჭირო დამატებითი მონიტორინგი ან პრევენციული ღონისძიებები". შემდეგი ტექსტი დაემატება ESIA–ს დამატების საბოლოო ანგარიშის ქვეთავს 10.2.4: " მილსადენის მარშრუტი დაიგეგმა PRMS კმნ2-ის სიახლოვეს მდებარე ხევიდან მოშორებით. შეფასდა, რომ PRMS კმნ2-თან ხევის ზედა ნაწილის შემდგომი დეფორმაცია სავარაუდოდ არ მოახდენს ზემოქმედებას მილის მთლიანობაზე. ხევის სიახლოვეს ჩატარდება მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მშენებლობის შემდგომი შეფასება, რათა შემოწმდეს უბნის მდგომარეობა და განისაზღვროს არის თუ არა საჭირო დამატებითი მონიტორინგი ან პრევენციული ღონისძიებები (OP149). გარდა ამისა, OP136 ვალდებულებაში მოცემული	10.2.4, ვალდებულება OP149

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		მონიტორინგის სამუშაოების ფარგლებში განხორციელდება ხევის მონიტორინგი”. პროექტმა იცის ეკოლოგიური ექპერტიზის აღნიშნული პირობის შესახებ და ამზადებს უფრო დეტალურ დოკუმენტს MENR–სთვის წარსადგენად.	
თავი 7.7-ის სათაურია ეკოლოგია. ჩვენი აზრით, ვინაიდან აქ საუბარია ფლორასა და ფაუნაზე, უფრო გამართლებული იქნება, რომ სათაური იყოს „ფლორა და ფაუნა“ ან „ბიომრავალფეროვნება“, ვინაიდან ეკოლოგია მოიცავს სხვა ასპექტებსაც, მაგალითად ნიადაგებს, რომლებიც ამ დოკუმენტში ცალკე თავად არის წარმოდგენილი.	321	ჩვენ ვთვლით, რომ ეკოლოგია ფართო გაგებით მოიცავს ორგანიზმების ერთმანეთთან და ფიზიკურ გარემოსთან ურთიერთქმედებას. თუმცა, ტერმინი „ეკოლოგია“ საერთაშორისო ESIA–ებში გამოიყენება შესასწავლ ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის აღსაწერად და შესაბამისად, SCPX ESIA–სა და ESIA–ს დამატებაში გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაშია ზოგადად მიღებულ ESIA–ს ტერმინოლოგიასთან.	-
ქვეთავში 7.7.3.3 ცხრილში მოყვანილია, რომ დერეფნის დამატებით მონაკვეთზე აღინშნება ჭალის ტყის ეკოსისტემა, მის გასწვრივ ბოლო სვეტში არის პუნქტი საკონსერვაციო ღირებულებები, რომელშიც მითითებულია, რომ ეკოსისტემაში იზრდება მაღალმთიანი მუხა (Quercus macranthera). საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაღალმთიანი მუხა იზრდება ზღვის დონიდან 1400მ-ზე და ზევით ჰემიქსეროფიტულ მაღალმთის ტყეებში, ასევე, რიგ სუბალპურ ტყეებში. შესაბამისად, ჭალის ტყესთან მას არანაირი ეკოლოგიური კავშირი არ აქვს. გარდა ამისა, ჭალის ტყეები ვითარდება მდინარეთა გასწვრივ 300-400მ-დან 1100მ-მდე ზღვის დონიდან. ამრიგად, ჭალის ეკოსისტემაში მაღალმთის მუხის არსებობის ალბათობა ძალიან დაბალია. ჩვენი აზრით, აქ უნდა იყოს ჭალის მუხა (Quercus longipes), რომელიც იზრდება ზუსტად ამ ჰაბიტატში, რომელიც არის აღწერილი ხსენებულ ცხრილში და თანდართულ	322	მაღალმთის მუხა გვხვდება 800მ სიმაღლეზეც კი (საქართველოს ფლორა, მე–3 ტომი, 1975), ასე რომ ის ფაქტი, რომ ეს სახეობა დაფიქსირებული იქნა 1400მ სიმაღლეზე ქვემოთ (სინამდვილეში, მუხის ინდივიდები ნაპოვნი იქნა დაახლოებით 1200მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან) არ მიუთითებს იმაზე, რომ სახეობა არასწორად იყო იდენტიფიცირებული. ამის გარდა, ძირითადი განსხვავება ორ სახეობას შორის ისაა, რომ ჭალის მუხას (Quercus longipes ან Quercus pedunculiflora) ახასიათებს ყუნწიანი ნაყოფები (ყუნწის სიგრძე 3-7სმ-ია), ხოლო აღმოსავლეთის მუხის ნაყოფები ძალიან მოკლეყუნწიანი ან მჯდომარეა. SCPX ESBR–ის დამატების დანართში E2 (ანგარიშის ნომერი BC-MX81ZZ-EV-REP-0008-000) წარმოდგენილია მაღალმთის მუხის (*Quercus macranthera*) ფოტოები, რომლებიც ნაპოვნი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე (იხ. სურათი 5–5).	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
ტექსტებში. ჭალის მუხაც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, როგორც მოწყვლადი სახეობა.			
ზოგადად გასასწორებელია თარგმანი ტერმინოლოგიურ დონეზე, როგორც ESIA-ში, ასევე Impact Assessment-ის ქვეთავში. მაგალითად: თავი 8, გვ. 3 - რეპრეზენტატიული ნიმუში არ არის სწორი ტერმინი, უნდა იყოს რეპრეზენტატიული შერჩევა.	323	ESIA–ს დამატება, საბოლოო ანგარიშის გაცემამდე კიდევ ერთხელ იქნა გადახედილი რათა უზრუნველყოფილი იყოს თარგმანის თანმიმდევრულობა და ხარისხი. რაც შეეხება ტერმინის „რეპრეზენტატიული ნიმუში“ თარგმანს მე–8 თავში, თარგმანი შეიცვალა „რეპრეზენტატიული დანიმუშებით“.	8
სვანეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი არ არის სწორი ტერმინი - ხაიშიდან მოსახლეობა გადასახლდა არა მეწყერის ან რაიმე სხვა ბუნებრივი კატასტროფის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იყო დაგეგმილი; 80-იან წლებში გადასახლდა მოსახლეობის ნაწილი, სადღაც 80 ოჯახი, გვ. 6. ტერმინი იძულებით გადაადგილებული პირი გამოიყენება საომარი მოქმედებების შედეგად ტერიტორიიდან, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ	324	მე–8 თავის, ქვეთავი 8.4.1–ის პარაგრაფი თავიდან დაიწერა და შეცდომა შესწორდა. SCPX ESIA–ს დამატების ქვეთავს 8.4.1 ასევე დაემატა სქოლიო. ასევე ტექსტი შეიცვალა მე–10 თავსა და NTS–ში.	NTS; 8.4.1; 10.11.2; 10.12.3.2
მოწყვლადობის ქვეთავში არ არის დახასიათებული ოფიციალურად რეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები. გვ. 16.	325	მოწყვლადი ადამიანების განმარტება მოცემულია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშში (ქვეთავი 8.2) და იდენტიფიცირებულია მოსახლეობის ის კატეგორიები, რომლებიც განმარტებულია, როგორც მოწყვლადი. მოწყვლადი ადამიანების იგივე კატეგორიები განხილულია ESIA–ს დამატებაში. ეს კატეგორიები (რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირები/ქრონიკული ავადმყოფები და იძულებით გადაადგლებული პირები) მოიცავს პირებს და შინამეურნეობებს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან. შინამეურნეობების უფრო ფართო კვლევამ მოიცვა შინამეურნეობები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA დამატების თავის ნომერი
		იმყოფებიან, რამდენადაც სოფლების ძირითად ნაწილში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების რიცხვი საკმაოდ მაღალია და რანდომული მაგალითები მოიცავს ასეთ შინამეურნეობებს.	
მიწის ფლობა და საკუთრება არ არის ერთი და იგივე, ამიტომ ტერმინოლოგიურად ისინი გასამიჯნია ტექსტში გამოყენების დროს. მესაკუთრე არის პირი, რომელსაც საკუთრება საჯარო რეესტრის საშუალებით აქვს დარეგისტრირებული. გვ. 27	326	ჩვენ ვთვლით, რომ ტერმინი „მიწის ფლობა“ ინგლისურიდან ქართულად სწორადაა ნათარგმნი და გულისხმობს, რომ მიწა არის ფიზიკური პირის/ორგანიზაციის მფლობელობაში (და არ არის იჯარით აღებული ან გამოყენებული სხვაგვარად). ამ მნიშვნელობითაა სიტყვა გამოყენებული ESIA–ში (გვ.27–ის ჩათვლით) და ამიტომ გადაწყდა, რომ ტერმინის თარგმანი უცვლელად დარჩეს.	-
კულტურული მემკვიდრეობის შესახებ თავებში საუბარია მხოლოდ არქეოლოგიაზე და არ არის ნახსენები არქიტექტურული ძეგლები. თუ საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს გვხვდება არქიტექტურის ძეგლები, აუცილებელია მათი დახასიათება და მათზე ზემოქმედების შეფასება. თუ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არქიტექტურული ძეგლები არ გვხვდება, და მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, მაშინ ამის შესახებ გზშ-ს ანგარიშში აღნიშნული უნდა იყოს.	327	"კულტურული მემკვიდრეობის შეფასება მოიცავს არა მხოლოდ არქეოლოგიას, არამედ ასევე არქიტექტურულ ძეგლებსაც. კამერალური კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა მხოლოდ ერთი არქიტექტურული ძეგლი მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს. თუმცა მიჩნეული იქნა, რომ სამშენებლო სამუშალეობის შედეგად ამ ძეგლზე ზემოქმედება ნაკლებ სავარაუდოა. SCPX სამშენებლო დერეფნიდან 200მ მანძილზე არქიტექტურული ძეგლები იდენტიფიცირებული არ ყოფილა. ამ საკითხის განმარტებისთვის შეიცვალა ქვეთავები 7.10.2. და 7.10.3. გარდა ამისა, კულტურული მემკვიდრეობის განმარტება დაემატა ტერმინების განმარტების თავში.	7.10.2, 7.10.3,
ტერმინთა განმარტებაში თუ ვხვდებით ისეთი ტერმინების განმარტებას, როგორიცაა ფლორა, ფაუნა, დაცული ტერიტორია, მიწის ამოთხრა და სხვა, მაშინ ასევე განმარტებული უნდა იყოს ტერმინების „არქეოლოგიური ძეგლი“ და „არქიტექტურული ძეგლი“ მნიშნვნელობები.	328	შემდეგი ტერმინები, რომლებიც ეკუთვნის კულტურულ მემკვიდრეობის სფეროს დამატებული იქნება ტერმინების განმარტებაში: არქეოლოგიური უბანი და მიწისზედა არქეოლოგიური ძეგლი.	2

4.2 დამოუკიდებელი ორგანიზაციები

ცხრილი 4-2:ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - დამოუკიდებელი ორგანიზაციები

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
სამეცნიერო და პროფესიონალური ორგანიზაციები					
დოკუმენტში არ არის მითითებული კვლევა მიწის რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს სათანადოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ნიშნავს თუ არა ეს, რომ კომპანია იკისრებს ვალდებულებას და დაეხმარება მათ ნაკვეთების რეგისტრაციაში და მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ შეიძენს მიწას? დოკუმენტში ეს საკითხი გასაგებად არ არის ახსნილი.	353	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - TB	როგორც აღნიშნული იყო მთავარი ESIA–ს ქვეთავში 8.5, BP–მ ჩაატარა მიწის მესაკუთრეების და მიწის მოსარგებლეების ფოკუსირებული კვლევები ძირითად ადგილებში და კონსულტაციები გაიარა მიწის რეესტრთან, რათა მიეღო მიწი მესაკუთრეების და მოსარგებლეების შესახებ ერთიანი სურათი. სადაც მიწა რეგისტრირებული არ არის, BP–ს კონტრაქტორი ჩაატარა კვლევა და განახორციელა საკადასტრო ნახაზების დამზადება ნორმატიული პროცედურების შესაბამისად. გამოყენებული იქნა მიწის მესაკუთრეობის და მიწით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია, რათა შექმნილიყო საფუძველი SCPX 'მიწის შეყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტის' (LACF) და ამ დოკუმენტის თანდართულ შემაჯამებელი დოკუმენტის 'მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო' (GLAC) მოსამზადებლად (ხელმისაწვდომია BP საქართველოს ვებგვერდზე http://www.bpgeorgia.ge/go/doctype/1339/125935/). მიწის შესყიდვის ჯგუფის წარმომადგენლები შეხვდნენ ზეგავლენის ქვეშ მყოფ ყველა მიწის მესაკუთრეს და მიწის მოსარგებლეს, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდნენ ზემოქმედების ქვეშ. თუ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული არ არის, ამის იდენტიფიცირება მოხდება კვლევის დროს. თუ კერძო მესაკუთრეებს შეექმნებათ პრობლემები რეგისტრაციასთან დაკავშირებით, SCPX დაეხმარება მათ ფინანსურად და ტექნიკურად. ფინანსური დახმარება მოიცავს სარეგისტრაციო გადასახადს, GLAC-ში მოცემულის შესაბამისად.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
დოკუმენტი ეხება მხოლოდ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს. შესაძლებელია იმის დაკონკრეტება თუ ხაიშში მცხოვრები რამდენი ოჯახის მიწის ნაკვეთი იქნება გამოყენებული მშენებლობის დროს? შესაძლებელია იმის დაკონკრეტება თუ მიწის რა ფართობი იქნება შეძენილი? არ არის საჭირო მიწის მესაკუთრეების მითითება, თუმცა თქვენ სავარაუდოდ უნდა იცოდეთ რამდენი ოჯახისგან შეიძინეთ მიწის ნაკვეთი. ზეგავლენის ქვეშ მოექცევა მხოლოდ 4 სოფელი; შესაძლებელია მიუთითოთ რამდენი მიწის ნაკვეთი იქნა შეძენილი თითოეულ სოფელში? როგორ იქნება კომპენსირებული ეს მიწის ნაკვეთები? ეს საკითხები ძალიან ზედაპირულადაა განხილული და თუ შესაძლებელია დოკუმენტში წარმოადგინეთ უფრო დეტალურად. ზოგადად ასეთი დოკუმენტები მზადდება და	354	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - TB	ჯგუფი (პროექტის მიწის შესყიდვის ჯგუფის წარმომადგენლის ჩათვლით) შეხვდება ზეგავლენის ქვეშ მყოფ მიწის მფლობელებს და მიწის მოსარგებლეებს, რომელთა მიწის ნაკვეთები ხვდება მიწის შესყიდვის დერეფანში. ამჟამად, მიწის ნაკვეთების რაოდენობა არის 60 - მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის ტერიტორიაზე და 48 - მიწის ნაკვეთი მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის ტერიტორიაზე. რამდენადაც მიწის შესყიდვის პროცესი ჯერ ისევ გრძელდება ESIA-ში შეუძლებელია იმ ოჯახების ზუსტი რაოდენობის მითითება, რომლებისგანაც მოხდება მიწის შეძენა. კომპენსაციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია BP საქართველოს ვებგვერდზე (http://www.bpgeorgia.ge/go/doc-type/1339/125935/). აღწერილია მიწასთან დაკავშირებული საკითხები, კომპენსაციის გამოთვლის მექანიზმები, როგორია მიწის და მოსავლის კომპენსაციის პროცესი და საფასური. 2011 წელს BP-მ ჩაატარა კვლევა, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისთვის ინფორმაციის მისაღებად და განაახლა ეს ინფორმაცია 2014 წელს (დროის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გასათვალის-წინებლად). ამან გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ტიპების დამატება და ფასების განახლება. ეს დოკუმენტი საჯაროა და ქვია მიწის შესყიდვის და კომპენსაციის სახელმძღვანელო, 2014“ (GLAC).	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
ჩვენთვის ცნობილია სხვადასხვა პროექტის მრავალი მაგალითი, სადაც ასეთ დოკუმენტებში ეს საკითხები არის განხილული. არ არის საჭირო იმის მითითება, თუ რა ოდენობის კომპენსაცია იქნა გადახდილი, თუმცა შესაძლებელია იმ მცხოვრებთა რაოდენობის მითთება, რომელთაგანაც აპირებთ მიწის შესყიდვას. ეს დასახლებასთან დაკავშირებული საკითხია, თუმცა გულისხმობს მიწის ნაკვეთებს და არა შენობებს.					
ეს დოკუმენტი ზოგადია თუ ეხება კონკრეტულად ამ პროექტს?	355	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - TB	GLAC და LACF მომზადდა სპეციალურად SCPX პროექტისთვის და ეფუძნება იგივე პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობოდა BTC/SCP პროექტებისთვის მომზადებული ანალოგიური დოკუმენტები. მოპოვებული იქნა ახალი ინფორმაცია SCPX პროექტის დოკუმენტაციის მოსამზადებლად და 2014 წლის დასაწყისში მოხდა GLAC-ის განახლება, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო მილსადენის დამატებითი მონაკვეთები და მიწის და მოსავლის კომპენსაციების განახლებული ოდენობა.	-
გეგმავთ ფინანსური ინსტიტუტების ჩართვას ამ პროექტში?	356	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - TB	პროექტის ფინანსირებაში საფინანსო ინსტიტუტები ჩართული არ არის და ასეთი გეგმებიც არ არსებობს. ამ ეტაპზე, პროექტი სრულად ფინანსდება სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიის (SCPC), BP ექსპლორეიშენ (აზერბაიჯანი) ლიმიტედის (BP) ხელმძღვანელობით	1.4

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
				მართული კონსორციუმის და Statoil-ის მიერ. კონსორციუმის წილის მფლობელები აღწერილია ESIA-ს დამატების ქვეთავში 1.4.	
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მილების ტრანსპორტირებას მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთამდე გეგმავთ სარკინიგზო ტრანსპორტით ან სატვირთო მანქანებით. რაც შეეხება მილსადენის დამატებით აღმოსავლეთის მონაკვეთს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტი. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, როგორ აპირებთ მილების გადაზიდვას მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე. დოკუმენტში ეს გასაგებად არაა განმარტებული.	357	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - TB	ESIA–ს დამატების ქვეთავში 5.4.2 აღწერილი შესაბამისად, ამ ეტაპზე მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე მილების ტრანსპორტირების ორი ვარიანტი განიხილება: ტრანსპორტირება საავტომობილო გზით რუსთავიდან თბილისის გავლით ან რკინიგზის გადმოსატვირთი უბნის შეკეთება ახალციხეში და მილების ტრანსპორტირება ჯერ სარკინიგზო ხაზით და შემდეგ 20კმ მანძილზე საავტომობილო გზით სამშენებლო დერეფნამდე. ამ ეტაპზე ორივე ვარიანტი შეფასების პროცესშია და გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული; შესაბამისად ESIA–სდამატებაში ამის განსაზღვრა შეუძლებელია.	-
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მილების ტრანსპორტირებას მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთამდე გეგმავთ სარკინიგზო	358	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - TB	SCPX მიწის შესყიდვის ჯგუფის წარმომადგენლები შეხვდნენ ზეგავლენის ქვეშ მყოფ ყველა მიწის მესაკუთრეს და მიწის მოსარგებლეს, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდნენ ზემოქმედების ქვეშ. ჯგუფი შეხვდება მიწის მესაკუთრეებს/მოსარგებლეებს, რომ ინდივიდუალურად აუხსნას მიწის შესყიდვის პროცესი და დაათვალიერებს პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ მიწის	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
ტრანსპორტით ან სატვირთო მანქანებით. რაც შეეხება მილსადენის დამატებით აღმოსავლეთის მონაკვეთს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტი. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, როგორ აპირებთ მილების გადაზიდვას მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე. დოკუმენტში ეს გასაგებად არაა განმარტებული.				ნაკვეთებს მიწის მესაკუთრეების და/ან მიწის მოსარგებლეების თანდასწრებით, მიწის დეტალური ინვენტარიზაციის და შემოწმების მიზნით (მშენებლობების, გაუმჯობესებების და მოსავლის ჩათვლით). ამ ვიზიტის მიზანი იქნება წერილობითი ჩანაწერის გაკეთება არსებული ქონების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესახებ. მიწის მესაკუთრეს და/ან მიწის მოსარგებლეს ხელმოსაწერად მიეწოდება ინვენტარიზაციის აქტი და ასევე ფორმები კომპენსაციის გამოთვლისთვის. SCPX აანაზღაურებს ნებისმიერ დანაკარგს, რომელიც უშუალოდ პროექტით იქნება გამოწვეული.	
არაკვალიფიციური პერსონალი შერჩეული იქნება ადგილობრივ მცხოვრებთაგან, თუმცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია რომ "შესაძლოა შეირჩეს ადგილობრივი მოსახლეობიდან". შესაძლებელია დოკუმენტში აღინიშნოს, რომ შერჩევა 100%-ით მოხდება ადგილობრივი მოსახლეობიდან?	365	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - KH	დასახლების, მუნიციპალიტეტის და ქვეყნის დონეზე ადამიანების სხვადასხვა პოზიციაზე შერჩევის სამიზნეები შეთანხმებული იქნება მილსადენის კონტრაქტორთან. მილსადენის მშენებლობის ბუნებიდან გამომდინარე შესაძლებელია არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავება ზეგავლენის ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტებიდან (საქართველოს მოქალაქეების). რამდენადაც მილსადენი საქართველოში ვრცელდება 60კმ მანძილზე, მხოლოდ ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებლიდან არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავება დროის ნებისმიერ პერიოდში არ არის შესაძლებელი (ზოგიერთ ადამიანს ურჩევნია მის სოფელთან ახლოს მუშაობა, რის გამოც გრძელვადიან სამუშაოზე (რომელიც საჭიროებს დამატებით ტრეინინგს) ასეთი მუშახელი არ არის გამოსადეგი); თუმცა არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავებისას უპირატესობა მიენიჭება ზეგავლენის ქვეშ მყოფ სოფლებს, შემდეგი ვალდებულების 28-02: "არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავების	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
				დროს უპირატესობა მიენიჭება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობას" შესაბამისად.	
მე-10 თავში (10.14.3) "შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება" აღნიშნულია, რომ ადგილობრივი პერსონალი შესაძლოა უკმაყოფილო იყოს იმის გამო, რომ იგივე სამუშაოს შესრულებისთვის უცხოელი პერსონალი უფრო მაღალ ანაზღაურებას ღებულობს. როგორ შეიძლება ეს რომ მოხდეს?	366	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - KH	ESIA-ს დამატების ქვეთავში 10.14.3.1 ნათქვამია: „უარყოფითი ზემოქმედებები შესაძლოა მოცავდეს შემდეგს: ...უთანხმოება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებულ და დაუსაქმებელ წარმომადგენლებს შორის ან ადგილობრივი დასაქმებულების იმედგაცრუება თუ ისინი <u>არასწორად ჩათვლიან</u>, რომ უცხოელ მუშახელს იგივე სამუშაოსთვის უკეთესი ხელფასი და პირობები აქვს“. როგორც ეს აღწერილია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 10.14.4, ყველა მუშა მიიღებს სულ მცირე იმ მინიმალურ ანაზღაურებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული (33-02). ყველა მუშას ექნება კონტრაქტი, რომელიც აღწერს სამუშაო პირობებს და ყველა მათგანს აუხსნის სამუშაოს შინაარსს (28-14). დასაქმების პროგრამის ფარგლებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფები ეცდებიან მოაგვაროს ნებისმიერი არასწორი წარმოდგენა ხელფასსა თუ პირობებს შორის აშკარა განსხვავებების შესახებ (28-15).	-
პროექტის მხარდაჭერა ხდება რომელიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ? აპელაციის მექანიზმი იარსებებს?	367	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - KH	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 356. SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის დანართის D (ESMMP) ქვეთავში 16.4.3 აღწერილ საჩივრებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელებისგემა განსაზღვრავს საჩივრის ფორმალურ პროცედურას, რათა მოხდეს დასახლებების და ფიზიკური პირების საჩივრების დაფიქსირება, გამოძიება და გადაწყვეტა. სისტემა მოაგვარებს მესამე მხარის პროექტების საჩივრებს, მიწის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების, ეკოლოგიური და ადგილობრივი დასაქმების საკითხების ჩათვლით.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
				საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები დაინიშნებიან კონტრაქტორის და კომპანიის მიერ საჩივრებზე პასუხის გასაცემად. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები დაეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას საჩივრის პროცედურების განხორციელებაში, როგორც ეს ხდებოდა წინა პროექტების და მიმდინარე ოპერაციების დროს. მოხდება საჩივრის რეგისტრაცია და კომპანია საკითხს გამოიძიებს მილსადენის კონტრაქტორთან ერთად; თუ პროექტის სამშენებლო სამუშაოების დროს მიყენებულია ზიანი, მოხდება დაზიანების შეკეთება ან კომპენსაციის გადახდა.	
არის თუ არა გათვალისწინებული სოციალური პროგრამების განხორციელება? თუ შემოთავაზებულია მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტები? სად შეიძლება ინფორმაციის მიღება დაინტერესებული წარმომადგენლების მიერ?	373	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - PD	2003 წლიდან BP და მისი პარტნიორები BTC/SCP პროექტებში ახორციელებენ დასახლების განვითარების ინიციატივას (CDI) მილსადენის და დამხმარე ინფრასტრუქტურების ახლოს მდებარე და მილსადენის მიერ გადაკვეთილ ყველა დასახლებაში. პატარა დურნუკში პროგრამა წლების განმავლობაში მოქმედებს და გაგრძელდება SCPX პროექტის ფარგლებშიც. CDI პროექტები იცვლება დასახლებების მიხედვით და განისაზღვრება დასახლების იმ მცხოვრებთა დახმარებით, რომლებსაც შეუძლიათ შესარჩევად წარმოადგინონ პროექტის განაცხადი. დასახლების განვითარების ინიციატივა განხორციელების პროცესშია. CDI–ის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია SCPX–ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისგან.	-
არის თუ არა გადამოწმებული რამდენი ოჯახიდან მოხდება მიწის შესყიდვა? რა არის მიწის ფასი?	378	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - AR	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 354.	-
გაგვიწევთ თუ არა დახმარებას	379	მწვანე	საჯარო	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 353.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
მიწის რეგისტაციაში?		ალტერნატივა	შეხვედრა - AR		
მიწის ნაკვეთებს მთლიანად შეიძენთ თუ ნაწილობრივ?	380	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - AR	როგორც ეს აღწერილია მიწის შესყიდვის და კომპენსაციის სახელმძღვანელოში (GLAC), პროექტი მილსადენისთვის საჭირო მიწის დიდ ნაწილს შეისყიდის არსებული მფლობელებისგან. ზოგიერთ შემთხვევაში, მილსადენის მიწის შესყიდვის დერეფნის გარეთ რჩება შესყიდული მიწის ნაკვეთების ნაწილი, რომელთა შეძენა როგორც წესი არ ხდება. თუ მიწის ნაკვეთების მცირე დარჩენილი ნაწილები არარენტაბელურია მათი დაკავების გამო, შესაძლოა ამ მიწების როგორც „ნარჩენი მიწის“ კომპენსაცია. თუ მიწის ნაკვეთი კვალიფიცირდა როგორც „ნარჩენი მიწა“, ასეთი შემთხვევები სათითაოდ იქნება განხილული მიწის მესაკუთრის და/ან მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე. მშენებლობის და აღდგენის სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიწის შესყიდვის დერეფანი დაუბრუნდებათ მათ წინა მფლობელებს სასოფლო–სამეურნეო სარგებლობისთვის, თუმცა მიწის ხელახალი გამოყენება მოხდება გარკვეული შეზღუდვებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიწის უკან დაბრუნების პროცესის დროს, წინა მფლობელებს, რომლებისგანაც SCP Co.–მ შეისყიდა მიწა მიწის შესყიდვის დერეფანში აღუდგებათ მიწით სარგებლობის უფლება მიწის შესყიდვის დერეფანში არსებულ მიწაზე, რომელიც იმ დროიდან SCP Co.–ს მფლობელობაში იქნება. მიწის შესყიდვის დერეფანში მიწის სასოფლო–სამეურნეო მიზნებით გამოყენება შეზღუდული იქნება ზონებში 1 და 2.	-
რას აპირებთ მიწის ნაკვეთების იმ ნაწილებთან დაკავშირებით, რომლებსაც არ შეისყიდით?	381	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - AR	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 380.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
როგორ მოხდება ხეხილის ბაღების კომპენსაცია, მაგალითად?	384	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - AR	ინფორმაცია მიწის და მოსავლის კომპენსაციის შესახებ მოცემულია GLAC-ში, რომელიც გამოქვეყნდა BP საქართველოს ვებგვერდზე (http://www.bpgeorgia.ge/go/doctype/1339/125935/). GLAC-ში კომპესა-ციის გამოთვლის წესი აღწერილია მაგალითების საშუალებით. სხვადასვა ფასი აქვს განსხვავებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურას და ასევე არის განსხვავება არა-მსხმოიარე, დაბალ პროდუქტიულ და მწიფეხნოვან ხეებს შორის, რომლებიც განსაზღვრულია GLAC-ში. არალის შემთხვევაში, ხეხილის ბაღები ამ სოფელში არ არის, არის მხოლოდ საძოვრები. მცენარეები წარმოდგენილია მხოლოდ დასახლების კუთვნილ მიწაზე; მიწის კერძო ნაკვეთებზე მცენარეები არ არის.	-
მიწის რამდენი ნაკვეთი იქნება დამატებული?	387	მწვანე ალტერნატივა	საჯარო შეხვედრა - AR	ჯგუფი (პროექტის მიწის შესყიდვის ჯგუფის წარმომადგენლის ჩათვლით) შეხვდება ზეგავლენის ქვეშ მყოფ მიწის მფლობელებს და მიწის მოსარგებლეებს, რომელთა მიწის ნაკვეთები ხვდება მიწის შესყიდვის დერეფანში. ამჟამად, მიწის ნაკვეთების რაოდენობა არის 60 მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის ტერიტორიაზე და 48 მიწის ნაკვეთი მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის ტერიტორიაზე.	-
საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილ ბსგზშ ანგარიშში მოცემულია მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გამოსაყენებელი მიწის მთლიანი ფართობი. არ არის დაკონკრეტებული, თუ რამდენი ოჯახის	396	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	ამ ეტაპზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა არის 60 მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის ტერიტორიაზე და 48 მიწის ნაკვეთი მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის ტერიტორიაზე. რამდენადაც მიწის შესყიდვის პროცესი ჯერ ისევ გრძელდება ESIA-ში შეუძლებელია იმ ოჯახების ზუსტი რაოდენობის მითითება, რომლებისგანაც მოხდება მიწის შეძენა. მიწის რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 353.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
საკუთრებაში/სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის შეძენა მოხდება, არ არის ნათელი მიწათმფლობელების საკუთრების ფორმის შესახებ (აქვთ, თუ არა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებული, თუ არა, როგორ მოხდება მიწის ნაკვეთების შეძენა?).					
ანგარიშის 10.13.4.1 ქვეთავში (10-72) აღნიშნულია შემდეგი: „SCP Co. შეეცდება მიაღწიოს შეთანხმებას ზეგავლენის ქვეშ მყოფ ყველა შესაბამის მიწის მფლობელთან და მოსარგებლესთან (LACF 029); თუ კეთილსინდისიერი მოლაპარაკებებით შეთანხმების მიღწევა ვერ მოხეხრხდება, უკანასკნელი საშუალების სახით SCP Co. იძულებული იქნება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმები, ისეთი როგორიც არის მაგ.	397	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	სახელმწიფოს საკუთრების იძულებით ჩამორთმევის უფლების არსებობა არ გამორიცხავს აუცილებელი გზის უფლების (NROW) კონცეფციის გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს საკუთრების შესახებ კანონის ერთ-ერთ კონცეფციას და გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 180 მუხლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთი არ უკავშირდება ცენტრალურ საავტომობილო გზებს, ელექტროენერგიის, გაზის ან წყლის მომარაგების ქსელებს, რომელიც აუცილებელია მიწის ნაკვეთის სათანადოდ გამოყენებისთვის, მფლობელს შეუძლია მოითხოვოს, რომ მეზობელმა დართოს ნება გამოიყენოს ამ უკანასკნელის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი კომუნიკაციებთან დასაკავშირებლად. SCP Co.-ის მიერ NROW-ის კონცეფციის და მექანიზმის გამოყენება სრულ შესაბამისობაშია სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებთან. სამოქალაქო კოდექსის დამატებითი მოთხოვნაა, რომ მიწის ნაკვეთის მფლობელმა მოითხოვოს კომპენსაცია, რომელიც შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის ან თუ ეს არ არის შესაძლებელი, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვროს სასამართოს მიერ. ასევე აღსანიშნავია, რომ	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
აუცილებელი გზის უფლება, რათა მიაღწიოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის თაობაზე; იგივე მიდგომა შეიძლება იქნას გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც მიწის მფლობელის ან მოსარგებლის ადგილსამყოფელი გაურკვეველია“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სამეზობლო სამართლის ერთ-ერთი ნორმის - აუცილებელი გზის უფლების - გამოყენება იმ პირების მიმართ, რომელთანაც ვერ მოხერხდება შეთანხმება, ასევე იმ პირების მიმართ, რომელთა ადგილსამყოფელი არ არის დადგენილი - აბსოლუტურად მიუღებელია, სამართლებრივი თვალსაზრისით. აღწერილი შემთხვევებისთვის საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს				აუცილებელი გზის უფლების მიღება ხორციელდება იურიდიული პროცესის მეშვეობით და აუცილებელი გზის კონცეფციის გამოყენება ასეთი გარემოებებისას დადასტურებულია სხვადასხვა მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ, როგორც BTC ისე SCP პროექტებისთვის (აღნიშნული პროექტები შესაბამისად ხორციელდება BTC Co. და SCP Co.-ს მიერ), და ასევე საქათველოში მოქმედი მილსადენის სხვა პროექტებისთვის, რომლებსაც ახორციელებენ სრულიად სხვა კომპანიები. დასასრულს, მილსადენის პროექტებისთვის აუცილებელი გზის კონცეფციის გამოყენება და ლეგიტიმურობა დადასტურებულია უმაღლესი სასამართოლს გადაწყვეტილებით. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, აუცილებელი გზის კონცეფციის გამოყენებაში მიუღებელი არაფერია და SCP Co.-ს მოქმედებები სრულად ლეგიტიმურია და შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე სასამართლო პრაქტიკას.	

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
კონკრეტულ ნორმებს დადგენილს საქართველოს კანონით "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ". სწორედ ამ კანონით განსაზღვრული პროცედურებით უნდა შეეცადოს კომპანია, მოიპოვოს უფლება მიწაზე ასეთ სადავო შემთხვევებში.					
არ არის განსაზღვრული საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობა და შესაბამისად არ არის შეფასებული მათი მოსალოდნელი შედეგები.	398	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	ESIA-ს დამატების მე-12 თავში აღწერილი და შეფასებულა დაუგეგმავი მოვლენები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს რისკს ადამიანების უსაფრთხოებისთვის და ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ თავში ასევე შემოთავაზებულია შემარბილებელი ღონისძიებები და სტრატეგია, რომლის მიზანია პოტენციურად პროექტთან დაკავშირებული რისკების მართვა. საფრთხეების და რისკების მართვის პრინციპების და ასევე რისკის შეფასების პროცესის სრული აღწერა მოცემულია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის მე-12 თავში.	-
განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში საერთოდ არ არის განხილული სამშენებლო ბანაკების განთავსების ადგილმდებარეობები.	399	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	სამშენებლო ბანაკების შესახებ გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვინაზე ID 318. როგორც ეს მოცემულია ESIA-ს დამატების ქვეთავში 5.4.1, მილსადენის სამშენებლო ბანაკის შესახებ ინფორმაცია უცვლელია და SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავებში 5.4.2 და 5.4.3 აღწერილის შესაბამისია. SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 4.10 აღწერილია ბანაკის	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
				ადგილმდებარეობების ალტერნატიული ვარიანტები.	
დოკუმენტის 4.3.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ არჩეული მარშრუტი კვეთს მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ჭალის ტყის ფრაგმენტებს, რომელთაგან ერთ-ერთთან ასოცირებულია საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა, თუმცა, აქვე არ არის დაზუსტებული რომელ სახეობაზეა საუბარი; ასევე, არ არის დაზუსტებული, რა ტერიტორიაზეა განთავსებული ზემოაღნიშნული ჭალის ტყის ფრაგმენტები.	400	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	კომპანია თვლის რომ შენიშვნა ეხება ESIA-ს დამატების ქვეთავს 4.3.2 (არა 4.3.1), სადაც ნათქვამია, რომ „ეს მარშრუტი <u>გვერდს უვლის</u> ღრმა ხევს PRMS კმ61.7-ის ახლოს და ასევე მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ჭალის ტყის ფრაგმენტებს, რომელთაგან ერთ-ერთთან ასოცირებულია საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა“. ESIA-ს მაღალმთის მუხა არის საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა და მოცემულია ESIA-ს დამატების ცხრილში 4-3. ამ სახეობაზე ზემოქმედებას მოახდენდა მარშრუტის პირველი ვარიანტი, რომელიც არ იქნა შერჩეული. შენიშვნა არ ეხება არჩეულ მარშრუტს.	-
ანგარიშის 4.5 ქვეთავში განხილულია დგუშის სადგურის ადგილმდებარეობები, მოცემულია „დგუშის სადგურის ადგილმდებარეობისთვის განხილული იქნა ორი ალტერნატივა; მეორე ალტერნატივა, რომელიც მდებარეობს შერჩეული	401	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	ESIA-ს დამატების ქვეთავს 4.5 დაემატა ქვემოთ მოცემული ტექსტი, იმის ასახსნელად, თუ რატომ შეირჩა უპირატესი ვარიანტი : თავდაპირველად განიხილებოდა დგუშის სადგურის ადგილმდებარეობის ორი ალტერნატიული ვარიანტი: ერთი - კმ60.7-თანდა და მეორე (შერჩეული ვარიანტი) - კმ62.3-თან. შერჩეული ვარიანტი უპირატესია გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით, რადგან ეს ვარიანტი ხაიშიდან მოშორებით მდებარეობს და შესაბამისად, ზემოქმედებების პოტენციალი უფრო დაბალია (მაგ. მტვერი და ხმური). დგუშის სადგურის ადგილმდებარეობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა ჰიდრავლიკური მოდელირების შედეგად, რამაც განსაზღვრა	4.5

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
ადგილის (სურათი 5-3) აღმოსავლეთით, დაახლოებით 500 მ მანძილზე, არ ჩაითვალა ხელსაყრელ ადგილად, რამდენადაც მდებარეობს სოფელ ხაიშთან ახლოს და ესაზღვრება გზასა რკინიგზის ინფრასტრუქტურას". აქ არ არის განხილული თავად არჩეული ალტერნატივა, ანუ პირველი ალტერნატივა; სად მდებარეობს და რატომ მიენიჭა უპირატესობა უკვე არჩეულ ვარიანტს?				მილსადენის დამატებითი 6კმ სიგრძის მონაკვეთის საჭიროება, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო მთლიანი მილსადენის სისტემის წნევის პროფილი. შერჩეული ვარიანტი, შესაბამისად, უპირატესია როგორც ტექნიკური, ისე გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით.	
მე-5 თავში განხილულია მილების ტრანსპორტირების საკითხი და საუბარია, რომ მილსადენების ტრანსპორტირება შესაძლოა მოხდეს რკინიგზით; შემდეგ კი, 5.4.3 ქვეთავში განხილულია შემდეგი: „მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე მისასვლელად უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოყენებული იქნება თბილისი-ხაშური-ბორჟომი-ახალციხის მაგისტრალური	402	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 357.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
საავტომობილო გზა, რომელიც ასევე გამოყენებული იქნება PRMS-თან მისასვლელად“. ანგარიშში არაა დაზუსტებული, საბოლოო ჯამში, რომელი ვარიანტი იქნა არჩეული.					
ანგარიშის 10.14.3.1 ქვეთავში „ზემოქმედებები ეკონომიკაზე, დასაქმებაზე, უნარებსა და საარსებო წყაროებზე“ გამოვლენილ უარყოფით შედეგებს შორის, დასახელებულია შემდეგი: „ადგილობრივი დასაქმებულების იმედგაცრუება და უკმაყოფილება იმის გაგებისას, რომ უცხოელ მუშახელს იგივე სამუშაოსთვის უკეთესი ხელფასი და პირობები აქვს“. სასურველია, დაზუსტდეს ამ ზეგავლენის მნიშვნელოვნება და ასევე, რა პირობები განსაზღვრავს ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისას, მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირების განსხვავებულ	403	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 366. ზემოქმედება SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშში შეფასებული იყო, როგორც საშუალო მნიშვნელობის ზემოქმდება (ცხრილი 10-39). შეუძლებელია დეტალურად განხილვა ისეთი სიტუაციის, რომცა კომპენსაციის დონეები იქნება განსხვავებული, რამდენადაც ეს დამოკიდებული იქნება ინდივიდუალურ ფაქტორებზე.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
ანაზღაურებას.					
დოკუმენტის 3.3.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ „ჩატარდა სპეციალური კონულტაციები საზოგადოებასთან პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების განმარტება SCPX ESIA - საბოლოო ანგარიშში ასეთი დასახლებების განმარტებასთან და მოიცავს დასახლებებს 2 კმ მანძილზე შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთებიდან და მისასვლელი გზებიდან 300მ მანძილზე“. მოცემული წინადადება გაურკვევლია. თუკი ეს არის თარგმანის დროს დაშვებული შეცდომა, სასურველია გასწორდეს და სწორი ინტერპრეტაციით იქნეს გაშლილი.	404	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	შენიშვნის საფუძველზე ტექსტის ქართული თარგმანი შესწორდა შემდეგნაირად: გარდა ამისა, ჩატარდა სპეციალური კონსულტაციები საზოგადოებასთან პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში (PACs). პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების განმარტება შესაბამისობაშია SCPX ESIA-საბოლოო ანგარიშში მოცემულ, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების განმარტებასთან და მოიცავს დასახლებებს, რომლებიც მდებარეობს შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთებიდან (დგუშის სადგურის ჩათვლით) 2კმ მანძილზე და მისასვლელი გზებიდან - 300მ მანძილზე.	3.3.1
არ არის ნათელი, დაგეგმილი აქვს, თუ არა პროექტის განმახორციელებელს	405	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	გთხოვთ იხილოთ პასუხი შენიშვნაზე ID 373.	-

შენიშვნა	ID	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	პასუხი	ESIA თავის ნომერი
ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში რაიმე სახის სოციალური პროგრამები.					
საჯარო განხილვის პროცესს ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, ქვემოთ ჩამოთვლილის ჩათვლით: - დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დაბალი ხარისხი - NTS-ის და სხვა მასალების არასაკმარისი რაოდენობით გავრცელება - შეხვედრის ადგილის ცვლილება)პატარა დურნუკის ნაცვლად დიდი დურნუკი) - პრეზენტაციის ჩატარება ქართულ ენაზე სოფლებში, სადაც სასაუბრო ენა არის რუსული.	406	მწვანე ალტერნატივა	წერილობითი	ESIA-ს დამატების საჯარო განხილვის შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა საგაზეთო განცხადებების და განცხადებების დაფების საშუალებით. გარდა ამისა, შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მიწოდებული იქნა სოფლის რწუმენებულისთვის, რომელსაც ასევე ეთხოვა გაევრცელებინა ეს ინფორმაცია დასახლებებში. NTS-ის რამდენიმე ასლი (მინიმუმ 20 ყოველ დასახლებაში) ქართულ და რუსულ ენებზე (დასახლების ეთნიკური შემადგენლობის შესაბამისად) ხელმისაწვდომი იყო ოთხივე დასახლებაში; სოფლის მცხოვრებებს დოკუმენტების მიღება შეეძლოთ სოფლის რწმუნებულის ოფისებში. ESIA-ს დაბეჭდილი ასლები ხელმისაწვდომი იყო მუნიციპალიტეტებში და ასევე ონლაინ. პატარა დურნუკში შეხვედრის ადგილი არ შეცვლილა. შეხვედრა შედგა იქ, სადაც მითითებული იყო საგაზეთო განცხადებებში და განცხადების დაფებზე. დურნუკში შეხვედრა დაგეგმილი იყო რწმუნებულის ოფისში და ჩატარდა, როგორც იყო დაგეგმილი და გამოცხადებული. პრეზენტაცია პატარა დურნუკში ნაწილობრივ ჩატარდა ქართულად, თუმცა პრეზენტაციის დაწყებამდე შეხვედრის მონაწილეებს ჰკითხეს ხომ არ იყო საჭირო პრეზენტაციის რუსულად თარგმნა. პასუხი იყო, რომ მათ ესმით ქართული და თარგმანი არ არის საჭირო. შეხვედრის ხმოვანი ჩანაწერი ამას ადასტურებს.	-

4.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობის მიერ გამოთქმული შენიშვნები, ჩვეულებრივ, ეხებოდა რამდენიმე საერთო თემას, რომელიც გაერთიანდა შესაბამის ცალკეულ საკითხად, ქვემოთ მოყვანილი საერთო ფორმატის გამოყენებით (სურათი 4-1).

საკითხის რეზიუმე: [საკითხის სახელწოდება]

საკითხის აღწერა [აღნიშნულ საკითხზე მიღებული გამოხმაურების კონსოლიდირებული რეზიუმე]
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: [შენიშვნების უნიკალური ნომრების ჩამონათვალი, რომლებიც განხილულია წინამდებარე საკითხის რეზიუმეში. ეს ჩამონათვალი, დანართ 1-თან ერთად, დაინტერესებულ პირებს უადვილებს კონკრეტულ შენიშვნებზე გაცემული პასუხების მოძიებას]
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: [საჭიროებისამებრ, მითითებულია ESIA ანგარიშის შესაბამისი თავები, ვალდებულებების ნომრების ჩათვლით, სადაც განხილულია მოცემული საკითხი ან რომელიც შესწორდა მოცემული საკითხის გათვალისწინების საფუძველზე]

სურათი 4-1: საკითხზე გაცემული პასუხის რეზიუმეს ფორმატი

თავებში 4.4.1-4.4.11 მოცემულია ყველა საკითხის რეზიუმეები, ხოლო შენიშვნების სრული ნუსხა მოყვანილია დანართ 1-ში.

4.3.1 საკითხის რეზიუმე: ეკოლოგიური ზემოქმედებები

საკითხის აღწერა რამდენიმე შეიშვნაში დასმული იყო შეკითხვა გარემოზე პროექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, კერძოდ ხმაურის, ვიბრაციის და ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებების შესახებ. შენიშვნებში ასევე გამოთქმული იყო მოთხოვნა, რომ პროექტს განესაზღვრა შესაბამისი შემარბილებელი ზომები.
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 369, 370, 407
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: ESIA წარმოადგენს მცდელობას სისტემატურად და სრულყოფილად განიხილოს პროექტის ყველა ცნობილი ასპექტი, რომელსაც გააჩნია ეკოლოგიური ან სოციალური ზემოქმედების გამოწვევის პოტენციალი. ESIA ანგარიშში შეფასებულია ეკოლოგიური ზემოქმედების სახეები (რომლებიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ზემოქმედება ნიადაგებზე, ლანდშაფტებზე, ჰაერის ხარისხზე, გარემო ხმაურზე, ვიბრაციაზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე და ეკოლოგიურ პირობებზე) და შემოთავაზებულია შემარბილებელი ზომების ფართო სპექტრი. ხმაურის და ვიბრაციის გაზომვები განხორციელდება სენსიტიურ რეცეპტორებთან, რათა მოხდეს პროექტის სტანდარტებტან შესაბამისობის მონიტორინგი, SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის

ESMMP-ს (დანართი D) ქვეთავში 11.4.8 აღწერილის შესაბამისად. ძირითადი შესაბამისი ვალდებულებებია - ვალდებულება 25-05: „პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტების მიხედვით პერიოდულად ჩატარდება ხმაურის მონიტორინგი“, ვალდებულება 25-09: „მილსადენის და ობიექტების მშენებლობის და სამშენებლო ბანაკის და მილების შესანახი ზონების ექსპლუატაციის დროს, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლებისგან 400მ-ზე ნაკლებ მანძილზე და ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, პერიოდულად ხმაურის მონიტორინგის მოწყობილობის 10 წუთიანი ხანგრძლივობის ჩვენებების აღება (პროექტის პროცედურების შესაბამისად) მოხდება შენობის ფასადთან პოტენციურად ხმაურიანი საქმიანობის დაწყებისას. თუ ხმაურის დონე გადააჭარბებს პროექტის სტანდარტებს, განხორციელდება ღონისძიებები ხმაურის დონის შემცირების მიზნით (მაგ. ღობეები)” და ვალდებულება 25-13: „კონტრაქტორის მიერ დაბინძურების პრევენციის განხორციელების გეგმის ფარგლებში შერჩეული იქნება ვიბრაციის მიმართ სენსიტიური ადგილები და ასევე განისაზღვრება ვიბრაციის მონიტორინგის დეტალები მძიმე ტექნიკის გადაადგილების დაწყებამდე და გადაადგილების დროს. შემდგომი ქმედებები ვიბრაციის მონიტორინგის შედეგებზე იქნება დამოკიდებული“. დამატებითი ინფორმაცია ქანების აფეთქებით გამოწვეულ ვიბრაციაზე მოცემულია ქვეტავში 4.4.5 (საკითხის შეჯამება: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება).

რაც შეეხება ვიბრაციის ზემოქმედებას მოსახლეობაზე, როგორც ეს აღნიშნულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 10.9.3, ადამიანები ზოგადად ვიბრაციას გრძნობენ მაშინ, როცა ვიბრაციის დონეები არის დაახლოებით 1.5mms-1. თუმცა გარკვეული გარემო პირობების არსებობის შემთხვევაში ვიბრაციის შეგრძნება შესაძლებელია 0.55mms-1 დონეზეც. ქვეთავში 10.9.3 ასევე აღნიშნულია, რომ ვიბრაციის ზღვრული დონე, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს შენობა არ არის აშკარა, თუმცა აშშ-ს ზედაპირზე განხორციელებული აფეთქებების უწყება თვლის, რომ ვიბრაციის დონე, რომელიც 38mms-1 მაჩვენებელზე დაბალია არ გამოიწვევს ნაგებობების დაზიანებას. ბულდოზერები და მიწის მოსასწორებელი მანქანები როგორც წესი წარმოქმნიან 2mms-1 დონეზე ნაკლებ ვიბრაციას 5მ-ზე, ხოლო დატკეპნის დანადგარები 0.35mms-1 დონეზე ნაკლებ ვიბრაციას 30მ-ზე. შტაბელების გადაზიდვა როგორც წესი წარმოქმნის 3mms-1 დონეზე ნაკლებ ვიბრაციას 50მ-ზე. შესაბამისად, სამშენებლო დანადგარების ვიბრაციით შენობების დაზიანების მნიშვნელოვანი რისკი არ არ არსებობს.

სამშენებლო ტრანსპორტით გამოწვეული ვიბრაცია ძალიან იშვიათადაა ისეთი მაღალი, რომ გამოიწვიოს ბზარების გაჩენა კედლებსა და ჭერში, დააშროს ქვის ბლოკები ან წარმოქმნას ბზარები შენობის ფუნდამენტში, რამდენადაც სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციის დონეები ბევრად დაბალია, იმ დონეებთან შედარებით რამაც შესაძლოა გამოწვიოს ასეთი სახის დაზიანებები. თუმცა, კონტრაქტორის მიერ დაბინძურების პრევენციის განხორციელების გეგმის ფარგლებში შერჩეული იქნება ვიბრაციის მიმართ სენსიტიური ადგილები და ასევე განისაზღვრება ვიბრაციის მონიტორინგის დეტალები მძიმე ტექნიკის გადაადგილების დაწყებამდე და გადაადგილების დროს. შემდგომი ქმედებები ვიბრაციის მონიტორინგის შედეგებზე იქნება დამოკიდებული (25-13).

მტვრის წარმოქმნის ძირითადი წყარო მშენებლობის დროს არის მშენებლობის სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. მშრალი ამინდის პირობებში მტვრის წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, კონტრაქტორმა უნდა მორწყას გზები და მოუპირკეთებელ გზებზე დააწესოს სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/სთ-მდე (ვალდებულებები 24-01 და 24-02). მტვრის წარმოქმნის კიდევ ერთი წყაროა წვრილმარცვლოვანი მასალების გადაზიდვა. ავტომანქანები, რომლებსაც წვრილმარცვლოვანი მასალები გადააქვთ, დაცული იქნება გადახურვით, რათა არ მოხდეს მტვრის წარმოქმნა ან გავრცელება (ვალდებულება 23-06). მტვრის მართვის ღონისძიებები დეტალურად აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ESMMP-ს (დანართი D) ქვეთავში11.4.3. მილსადენის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ფაზის დროს მტვრის წარმოქმნა ნაკლებ სავარაუდოა. მილსადენის ექსპლუატაციაში შეყვანის და ექსპლუატაციის ფაზებზე ატმოსფერული ემისიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში 4.4.5 (საკითხის შეჯამება: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება).

გამოვლინდა რამდენიმე სახის ნარჩენი ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება მილსადენის მშენებლობასა და ობიექტების ექსპლუატაციას. მიუხედავად ამისა, პროექტი ეცდება მოახდინოს ნებისმიერი ნარჩენი ზემოქმედების მართვა, გულდასმითი მენეჯმენტით (ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი კვლევების ჩატარებით, სენსიტიურობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღმოფხვრის / შემცირების მიზნით) და წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი შემარბილებელი ზომების განხორციელებით. თუ ადგილობრივ მოსახლეებს სურთ საჩივრის წარდგენა, SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ESMMP-ს (დანართი D) ქვეთავში 16.4.3 აღწერილის შესაბამისად, საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელების გეგმა განსაზღვრავს ფორმალური საჩივრის პროცედურას, რათა მოხდეს დასახლებების ან კერძო პირების საჩივრის აღრიცხვა, გამოძიება და პრობლემის გადაჭრა.

4.3.2 საკითხის რეზიუმე: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება - დასაქმების შესაძლებლობები და შერჩევის პროცესი

საკითხის აღწერა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობიდან მიღებული შენიშვნები ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს და შერჩევის პროცესს. შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი მონაკვეთების და ობიექტების მიდამოებში მდებარე დასახლებებში უმუშევრობის დონე მაღალია; შსაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნაა SCPX პროექტში დასაქმების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 360, 371, 416, 418, 364, 391
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: შემოთავაზებული მილსადენის დამატებით მონაკვეთებთან დაკავშირებით პროექტმა გამოავლინა ხუთი პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება (იხ. ESIA-ს დამატების შესწორებული ვარიანტის ქვეთავი 9.3.2). ESIA ანგარიშში აღებული რამდენიმე ვალდებულება ეხება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავების დროს უპირატესობა მიენიჭება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობას (28-02). ხელმისაწვდომი დასაქმების უდიდესი ნაწილი დროებითი იქნება; დასაქმების პერიოდი უმეტესწილად, პროექტის მშენებლობის ეტაპით შემოიფარგლება. დასახლების, მუნიციპალიტეტის და ნაციონალურ დონეზე პოზიციების შერჩევის მიზნები შეთანხმდა მილსადენის კონტრაქტორთან. საჭირო პერსონალის საბოლოო რიცხვი განისაზღვრება მილსადენის კონტრაქტორის მიერ და ვაკანსიების შესახებ განცხადება გამოქვეყნდება კონკრეტულ ადგილებში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე; ჩატარდება შეხვედრები სამუშაოზე შერჩევის პროცესის ასახსნელად. პროექტის დასაქმების სტრატეგია და სპეციფიკური ვალდებულებები დეტალურად აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ESMMP-ს (დანართი D) თავში 17. შერჩევის პროცედურები იქნება გამჭვირვალე, საჯარო და არადისკრიმინაციული და ღია ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, უნარშეზღუდულობის ან სქესის მიუხედავად (28-08). მაგალითად, შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის მშენებლობის დროს, უპირატესობა მიენიჭება ახლო მდებარე სოფლებს ხაიშსა და პატარა დურნუკს და შესაბამისად PAC-ებს ეცნობებათ ვაკანტური სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ (დასაქმების მიზნების მიხედვით) შესაბამისი და ხელმისაწვდომი მედია საშუალებებით (28-17).

4.3.3 საკითხის რეზიუმე: მიწა და შემოსავლები – კომპენსაცია

საკითხის აღწერა:

შეკითხვების რიგი ეხებოდა მიწაზე კომპენსაციის მიღებას; დაისვა კონკრეტული შეკითხვები კომპენსაციის თანხის გაანგარიშების და კომპენსაციის ოდენობის გადახდის, საჭირო მიწის ფართობის და საჭირო მიწის ადგილმდებარეობის შესახებ.

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

376, 383, 385, 386, 388, 389, 390, 412, 413, 417, 419, 420, 422, 424, 426, 427, 430, 431, 432, 433, 434

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

SCPX პროექტის მიწის შეძენისა და კომპენსაციის პროცესი დოკუმენტირებული და გამოქვეყნებულია. მიწის შეყიდვის პროცესი აღწერილია SCPX 'მიწის შეყიდვისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტში' (LACF) და ამ დოკუმენტის თანდართულ შემაჯამებელ დოკუმენტში 'მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო' (GLAC) (ხელმისაწვდომია BP საქართველოს ვებგვერდზე http://www.bpgeorgia.ge/go/doctype/1339/125935/).

SCPX პროექტი მიწას შეიძენს რეგისტრირებული მიწის მესაკუთრისაგან; რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს კერძო, კოლექტიური სარგებლობის ან სახელმწიფო. პროექტი იმუშავებს მიწის მესაკუთრეებთან მის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ხელშეწყობის მიზნით. კოლექტიური სარგებლობის ნაკვეთების კომპენსაცია იგივე იქნება, რაც კერძო ნაკვეთების შემთხვევაში. ინდივიდუალური მოსარგებლეები მიიღებენ მოსავლის კომპენსაციას. პირები, რომელთა სახელმწიფო ან მუნიციპალური მიწით სარგებლობის უფლება რეგისტრირებულია, არ მიიღებენ მიწაზე კომპენსაციას; ისინი მიიღებენ მოსავლის კომპენსაციას შესაბამის შემთხვევაში.

PRMS-თვის მუდმივად საჭირო მიწის ფართობი გაიზარდა 2.3ჰა-ით 35.3ჰა-მდე, ხოლო დგუშის სადგურისთვის მუდმივად საჭირო მიწის ფართობის გაიზარდა 3.7ჰა-ით 5.6ჰა-მდე. ბუჩქების რიგები დასახლების მფლობელობაში არსებულ მიწებზე ხეების ინვენტრარიზაციის დროს არ დაფიქსირებულა. თუმცა, თუ ბუჩქების რიგები აღმოჩნდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ეს რიგები დოკუმენტირებული იქნება ინვენტარიზაციის პროცესის დროს და კომპენსაციის გადახდა მოხდება GLAC-ის მიხედვით.

სადაც ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები, კომპენსაციის გადახდა მოხდება არქეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ ან არა უგვიანეს 2014 წლის შემოდგომისა. აღსანიშნავია, რომ საჯარო შეხვედრების დროს (მაისი 2014), ყველა მიწის ნაკვეთი გარდა ერთისა შეძენილი იყო სოფელი ნაოხრებისგან.

დგუშის სადგური ოპტიმალური ადგილი შეირჩა მრავალდარგოვანი კვლევების საფუძველზე, რომლებიც მოიცავდა ისეთი საკითხების შესწავლასაც, როგორიცაა მილსადენის წნევა, გრუნტის პირობები და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებები. კერძოდ, როგორც ეს აღწერილია SCPX ESIA-ს დამატების ქვეთავში 4.5, განხილული იყო დგუშის სადგურის განთავსების ადგილის ორი ალტერნატივა. შერჩეული ადგილიდან 500მ მანძილზე, აღმოსავლეთით მდებარე ალტერნატიული ვარიანტი ჩაითვალა არასათანადოდ, რამდენადაც ის ახლოს მდებარეობდა სოფელ ხაიშთან და ასევე გზის და რკინიგზის მომიჯნავედ.

მშენებლობის დასრულების შემდეგ მილსადენის სამშენებლო დერეფნისთვის საჭირო მიწა აღდგება და ხელმისაწვდომი იქნება წინა მფლობელებისთვის/მოსარგებლეებისთვის (გათვალისწინებული იქნება ხელახალი გამოყენების შეზღუდვები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით). სავარაუდოდ, ძოვება დაშვებული იქნება დგუშის სადგურის სიახლოვეს; მოსალოდნელია პერიოდული შეზღუდვები ობიექტის და მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.

თუ მიწა, რომელზეც ზემოქმედებას მოახდენს მილსადენის სამშენებლო დერეფანი

რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა, სახელმწიფომ უნდა გადასცეს უფლებები ამ მიწაზე SCP-ს. თუ მიწა გამოყენებულია თქვენს მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობითი სახით იმ მიწის ადგილდებარეობის დეტალები, რომელსაც იყენებთ და და ასევე ვინ არიან მიწის მოსარგებლეები და ჩვენ ჩავატარებთ შესაბამის გამოკვლევას. პროექტის მიერ გამოქვეყნებული მიწის შესყიდვის პრინციპების მიხედვით გადამოწმებული მიწის მოსარგებლეები მიიღებენ მოსავლის კომპენსაციას. თუ მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე, სახელმწიფო მოაწყობს აუქციონს, მიწის ნაკვეთების პროექტისთვის გადაცემამდე და თუ სამშენებლო დერეფნის ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან კერძო მესაკუთრეები, პროექტი კანონიერად რეგისტრირებულ მიწის მესაკუთრეებს გადაუხდის კომპენსაციას მიწის შეძენის გზით, GLAC-ს (2014) აღწერილის შესაბამისად. პროექტი ვერ გააკეთებს კომენტარს მიწის რეგისტრაციის პროცესთან და ისტორიული მიწის ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რადგანაც ეს საკითხები განსაზღვრულია სახელმწიფო საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ. პროექტმა განახორციელა საჩივრების წარდგენა / მიღების პროცედურა. პროექტი ეცდება საჩივარი მოაგვაროს, პირველ რიგში, მომჩივანთან შეთანხმების გზით და არა სასამართლო სისტემის საშუალებით. საჩივრების წარდგენა / მიღების პროცედურა ნებაყოფლობითია მომჩივანისათვის და არ ზღუდავს მის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლებებს, მათ შორის - ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოში მიმართვის უფლებას. ნებისმიერი წუხილი, რომელიც უკავშირდება არსებული მილსადენის ზემოქმედებებს ჯანმრთელობასა ან პირუტყვზე უნდა ეცნობოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს, რათა BP-ს შეეძლოს საკითხის გამოძიება. გაზსადენი არის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების გავრცელებული საერთაშორისო მეთოდი (ხშირად მჭიდროდ დასახლებულ უბნებშიც). SCPX ESIA-ს დამატების ქვეთავში 10.12 წარმოდგენილია SCPX პროექტთან დაკავშირებული შესაძლო ზემოქმედებები ადამიანის ჯანმრთელობაზე. მნიშვნელოვანი ზემოქმედებები მოსალოდნელი არ არის. გადასახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა BTC მილსადენისთვის ახლაც საჯაროდ ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებით. ამ წიგნის მომზადების მიზანი იყო მოსახლეობისთვის იმის ახსნა, თუ რა პრინციპებით მოქმედებს კომპანია, LACF და GLAC დოკუმენტების ანალოგიურად, რომლებიც მომზადდა SCPX პროექტისთვის.

4.3.4 საკითხის რეზიუმე: ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება

საკითხის აღწერა: შენიშვნებში გამოითქვა შეშფოთება იმის შესახებ, რომ მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს არსებობს შესაძლო რისკები და საფთხეები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მილსადენთან ახლსო ცხოვრობენ.
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 421, 426, 429
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: SPCX მილსადენის ექსპლუატაციაში შეყვანის და ექსპლუატაციის დროს ატმოსფერული ემისიები ხაიშთან შემოიფარგლება დგუშის სადგურის ემისიებით. მილსადენიდან ემისიები მოსალოდნელი არ არის. დგუშის სადგურის ექსპლუატაციაში შეყვანის დროს მოსალოდნელია ლიმიტირებული, მოკლევადიანი აირის ემისიები დროებითი სავენტილაციო მილიდან,

რომლებიც გაიფანტება ჰაერში და არანიაირ ზიანს არ მიაყენებს ადამიანების ჯანმრთელობას და ბუნებრივ გარემოს. ექსპლუატაციის დროს დგუშის სადგურზე მცირე, დიზელზე მოქმედი გენერატორები (დაახლოებით 10კვტ) იმუშავებს, რაც გამოიწვევს მცირე, მუდმივ ატმოსფერულ ემისიებს, გამონაბოლქვის სახით. მილსადენის მუდმივი ინსპექტირება დგუშების გამოყენებით, ასევე, გამოიწვევს ბუნებრივი აირის მცირე მოცულობის ემისიებს, როცა მოხდება დგუშის ამოღება მიმღები კამერიდან. ასევე, შესაძლებელია, თუმცა ნაკლებ სავარაუდო, რომ დროებით გახდეს საჭირო სავენტილაციო მილის მონტაჟი დგუშის სადგურზე ბუნებრივი აირის მცირე ხნიანი ვენტილაციისთვის ან დაუგეგმავი ინციდენტის შემთხვევაში. საერთო ჯამში, შეზღუდული მოცულობის ატმოსფერული ემისიები არ გამოიწვევს ზემოქმედებას ადამიანების ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივ გარემოზე (გარშემო არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მცენარეულობის ჩათვლით).

შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტის იმ მონაკვეთთან, სადაც საჭიროა ასაფეთქებელი სამუშაოები, ყველაზე ახლოს მდებარე შენობა არის ხაიშში, დაახლოებით 200მ მანძილზე, მილსადენის მარშრუტის სამხრეთით. ვიბრაციის მოდელირების შედეგების მიხედვით, რომლებიც მოცემულია ESIA-ს დამატების ქვეთავში 10.9.3.4, ვიბრაციის საშუალო მნიშვნელობების გამოყენების შემთხვევაში ამ მანძილზე შენობისთვის ზიანის მიყენება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, ვიბრაციის ყველაზე უარესი დონეების შემთხვევაში, აფეთქებამ ამ მანძილზე შესაძლოა მიაყენოს ზიანი შენობას, შემარბილებელი ღონისძიების გატარებამდე. შესაძლო ზემოქმედებების შემცირების მიზნით, შემუშავებული იქნა ღონისძიებები, რომლებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დანართის D (ESMMP) ქვეთავში 11.4.8.2. ეს შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს აფეთქების სამუშაოების დაწვრილებით აღწერას და აფეთქების ძირითადი სამუშაოების ჩატარებამდე საცდელი აფეთქების განხორციელებას SCPX თხრილის შესაფერის ადგილზე, რომელიც, არსებული მილსადენებიდან შემლებისდაგვარად შორს მდებარეობს (ვალდებულება X9-06). საცდელი აფეთქების მიზანია ვიბრაციის შესახებ მონაცემების მიღება, რათა შესაძლებელი იყოს თავდაპირველი კავშირის დადგენა ვიბრაციის გაზომილ დონეებსა და აფეთქების საპროექტო პარამეტრებს შორის, ისე რომ შესაძლებელი იყოს ძირითადი აფეთქების სიმძლავრის გამოთვლა, არსებული მილსადენებისა და სხვა მესამე მხარის მფლობელობაში არსებული ნაგებობების (სახლების ჩათვლით) დაზიანების რისკის შესამცირებლად. აფეთქებამდე ჩატარდება კვლევა იმ შენობების გარე მდგომარეობის აღსაწერად, რომლებიც შესაძლოა დაზიანდეს (ვალდებულება 25.14) და სადაც შენობები დაზიანდება სამშენებლო საქმიანობის გამოს, მოხდება დაზიანების შეკეთება და კომპენსაციის გადახდა (ვალდებულება 25.15). საჩივრის ფორმალური პროცედურა საჩივრებზე რეაგირებისთვის, განხორციელდება SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დანართის D (ESMMP) ქვეთავში 16.4.3 აღწერილის შესაბამისად.

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავის 5.3 და SCPX ESIA-ს დამატების მიხედვით კომპანია იხელმძღვანელებს საპროექტო ინსტრუქციებით, რომლებიც ითვალისწინებს მოსახლეობის არსებობას პროექტის განხორციელების ტერიტორიასთან ახლოს, საინჟინრო დაპროექტების ფაზაზე. კერძოდ, მილსადენის მარშრუტი და მილის კედლის სისქე ისეა შერჩეული, რომ შემცირდეს რისკი მოსახლეობისთვის. სხვა ღონისძიებები, მილსადენის დამარხვის სიღრმის გაზრდის და მილსადენის ზევით ბეტონის ფილების დაგების ჩათვლით, კიდევ უფრო შეამცირებს მილსადენით გამოწვეულ რისკებს. SCPX ESIA-ს დამატების მე-12 თავში მოცემულია დეტალური ინფორმაცია დამცავ პარამეტრებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია მილსადენის საინჟინრო პროექტში. ასევე ჩატარდა საველე კვლევა მილსადენის სიახლოვეს შენობების სიმჭიდროვის დასადგენად. ამ და სხვა კვლევების საფუძველზე შერჩეული იქნა მილის სისქე, ASME B31.8 უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შემოთავაზებული SCPX პროექტის გამო ფიზიკური გადასახლების საჭიროება არ არის, რადგან მილსადენის მარშრუტი შეირჩა ისე, რომ არ მომხდარიყო საცხოვრებელ სახლებზე პირდაპირი ზემოქმედება. მილსადენი აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია. შემუშავებული იქნა

ვალდებულებების დაწვრილებითი ნუსხა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაძლო ზემოქმედებების შემცირება რამდენადაც ეს შესაძლებელია. არსებული მილსადენებიდან ან დამატებითი SCPX მილსადენიდან რადიოაქტირუობა მოსალოდნელი არ არის.

4.3.5 საკითხის რეზიუმე: დასახლების ინვესტირების პროგრამა

საკითხის აღწერა: გარკვეული რაოდენობის კომენტარი ეხებოდა იგეგმება თუ არა PAC-ებში დასახლების განვითარების პროექტების დაფინანსება.
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 374, 375, 392, 393, 394, 423, 428, 435, 436
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: პროექტი მადლობას უხდის რესპონდენტებს მათი შემოთავაზებებისთვის. 2003 წლიდან BP და მისი პარტნიორები BTC/SCP პროექტებში ახორციელებენ დასახლების განვითარების ინიციატივას (CDI) მილსადენის და დამხმარე ინფრასტრუქტურების ახლოს მდებარე და მილსადენის მიერ გადაკვეთილ ყველა დასახლებაში. CDI–ის ინტერესის მთავარი სფეროები მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას სათემო ორგანიზაციების დაფუძნების, მცირე ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებების, სოფლის მეურნების მხარდაჭერის და მცირე ბიზნესის განვითარების გზით. დასახლების განვითარების ინიციატივა განხორციელების პროცესშია; ის ახლაც მიმდინარეობს SCPX პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში, გრძელდება ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით და ცდილობს უზრუნველყოს დასახლებების აქტიური მონაწილეობა და წვლილი პროგრამის სხვადასხვა ასპექტში. CDI პროექტები იცვლება დასახლებების მიხედვით და განისაზღვრება დასახლების იმ მცხოვრებთა დახმარებით, რომლებსაც შეუძლიათ შესარჩევად წარმოადგინონ პროექტის განაცხადი. ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა განხორციელების პროცესშია. CDI–ის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია SCPX–ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისგან. პროექტი განიხილავს მოთხოვნას წყლის მილის დამონტაჟებასთან დაკავშირებით (შენიშვნა 394), თუმცა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის აღდგენა სახელმწიფოს ვალდებულებაა. სარწყავი სისტემა ხაიშში მოეწყო 2004 წელს და ბევრი ადგილობრივი მცხოვრები იყენებდა მას, თუმცა კომპანია სარწყავ სისტემას არ აკონტროლებს. სამწუხაროდ, SCPX პროექტს არ შეუძლია კომენტარის გაკეთება წინა პროექტების შესახებ. “Care International” BP–სთან მუშაობდა წარსულში, თუმცა არ არის ჩართული მინდინარე CDI პროექტებში. კომპანია არ ეთანხმება რამდენიმე შენიშვნას, რომელიც ეხებოდა კომპენსაციას და მიწის განსაზღვას. შემოთავაზებული SCPX პროექტის გამო ფიზიკური გადასახლების საჭიროება არ არსებობს, რამდენადაც, მილსადენის მარშრუტი ისე შეირჩა, რომ ის პირდაპირ ზემოქმედებას არ ახდენს არცერთ საცხოვრებელ სახლზე. კომპენსაციის გადახდა მოხდება GLAC–ის შესაბამისად.

4.3.6 საკითხის რეზიუმე: არსებული BTC და SCP მილსადენების ექსპლუატაცია

საკითხის აღწერა: რამდენიმე შენიშვნა ეხებოდა არსებული BTC და SCP მილსადენების ექსპლუატაციას, მათ შორის ადგილობრივი დასაქმების პროცესს, დასახლებული პუნქტების ინვესტირების პროგრამას, ბუნებრივ გარემოზე, მოსავალსა, თაფლის წარმოებაზე ზემოქმედებებს და მიწასთან მისასვლელ გზებს.
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 391, 393, 395, 414, 415, 422, 423, 428
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: აღნიშნული შკითხვები დაისვა SCPX ESIA-ს დამატების საჯარო განხილვის შეხვედრებზე. დაინტერესებულ პირებს განემარტათ, რომ რადგან საჯარო შეხვედრის მიზანი იყო SCPX პროექტის განხილვა, მათი შენიშვნები არსებული მილსადენების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით უნდა წარდგენილი იქნას საჩივრების წარდგენის არსებული მექანიზმის გამოყენებით.

4.3.7 საკითხის შეჯამება: კულტურული მემკვიდრეობა

საკითხის აღწერა: ერთი შენიშვნა გამოითქვა არქეოლოგიური გათხრების შესახებ.
საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 362
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: გათხრები ჩატარდება კმ57–სა და კმ62.3–ს შორის, იმ უბნებში, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდეს კულტურული მემკვიდრეობის უბნებს და რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელია სამშენებლო დერეფნის მიერ. ნებარვა მიღებული უნდა იქნას ზეგავლენის ქვეშ მყოფი მიწის მესაკუთრისგან და მოსავლის შესაბამისი კომპენსაცია გადახდილი იქნება დაწესებული საფასურის მიხედვით.

4.3.8 საკითხის რეზიუმე: პროექტის აღწერა

საკითხის აღწერა: **რიგი შეკითხვების დაისვა ზოგადად პროექტის შესახებ**, კერძოდ: A. განთავსდება თუ არა შემოთავაზებული SCPX მილსადენი არსებული SCP მილსადენის მეზობლად B. სად განთავსდება საქაჩი სადგური? C. საიდან მოხდება მილების ტრანსპორტირება? D. როგორ მოხდა ხაიშის მახლობლად ხელახამი მარშრუტის ადგილმდებარეობის შერჩევა? E. რა სიგანის იქნება სამშენებლო დერეფანი?

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

359, 363, 372, 411, 432

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

A. საქართველოს ტერიტორიაზე SCPX მილსადენი გაივლის არსებული SCP და BTC მილსადენების პარალელურად; მილსადენი იწყება საქართველო/აზერბაიჯანის საზღვარზე და მიემართება დასავლეთისკენ 62.3კმ მანძილზე. ამ წერტილში ახალი მილსადენი დაუკავშრდება არსებულ SCP მილსადენს. SCPX მილსადენის დამატებითი 2.5კმ–იანი მონაკვეთი აშენდება საქართველო/თურქეთის საზვრის ახლოს არსებული SCP/BTC მილსადენების პარალელურად, სადაც მილსადენი დაუკავშიდება ახალ მილსადენს თურქეთში, რომელსაც აშენებს სხვა

B. საქაჩი სადგური განთავსდება სოფელი ხაიშის მახლობლად. დგუშის სადგური, რომელიც შედარებით მცირე ზომის ობიექტია და შენდება დგუშის (მოწყობილობები, რომლებიც პერიოდულად გაივლის მილსადენის შიგნით, მილის მდგომარეობის მონიტორინგისთვის) მისაღებად, განთავსდება დაახლოებით 500მ მანძილზე სოფლის კიდის ჩრდილო–დასავლეთით.

C. როგორც აღნიშნული იყო SCPX ESIA–ს დამატების ქვეთავში 5.4.2, დაახლოებით 536212,2მ სიგრძის 48''–დიამეტრიანი მილი იმპორტირებული იქნება საქართველოში მილების /მილების დამცავი საფარის მწარმოებელი ქარხნებიდან შავი ზღვის ბათუმის ან ფოთის პორტების გავლით, შემდეგ ტრანპორტირებული იქნება რკინიგზით რუსთავში და შემდეგ საავტომობილო გზით სამშენებლო დერეფნამდე მილების სასაწყობე ეზოების გავლით. როგორც აღნიშნულია SCPX ESIA–ს დამატების ქვეთავში 5.4.2 ამ ეტაპზე მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე მილების ტრანსპორტირების ორი ვარიანტი განიხილება: ტრანსპორტირება საავტომობილო გზით რუსთავიდან თბილისის გავლით ან რკინიგზის გადმოსატვირთი უბნის შეკეთება ახალციხეში და მილების ტრანსპორტირება ჯერ სარკინიგზო ხაზით და შემდეგ 20კმ მანძილზე საავტომობილო გზით სამშენებლო დერეფნამდე. ამ ეტაპზე, ორივე ვარიანტი შეფასების პროცესშია და გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული; შესაბამისად ESIA–ში ამის განსაზღვრა შეუძლებელია.

D. როგორც განხილული იყო SCPX ESIA–ს დამატების ქვეთავში 4.3 და SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 4.4. მილსადენის საბოლოო მარშრუტი განისაზღვრა საინჟინრო, ეკოლოგიური და სოციალური კვლევების საფუძველზე. ამ ტერიტორიაზე ბევრი შეზღუდვაა, მესამე მხარის გაზსადენების და წყალსადენების, რკინიგზების და საავტომობილო გზების ჩათვლით, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის მარშრუტზე.

E. მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სამშენებლო დერეფნის სიგანე იქნება 46მ (შენიშვნა: შეხვედრების დროს სიგანე შეცდომით იყო მითითებული, როგორც 44მ).

4.3.9 საკითხის რეზიუმე: ზოგადი გამოხმაურება

საკითხის აღწერა:

ერთი შენიშვნა გამოითქვა იმის შესახებ კომპანია ბრიტანულია თუ ქართული.

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 425
შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: როგორც აღნიშნული იყო SCPX ESIA–ს დამატების ქვეთავში 1.4, მილსადენი ეკუთვნის სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიას (SCPC), კონსორციუმს, რომელსაც მართავს ს BP და Statoil დამატებით მეწილეებთან ერთად. მილსადენის ტექნიკური ოპერატორის არის BP, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიას. BP–ში დასაქმებულია ბევრი ქართველი, როგორც ოფისში, ისე ექსპლუატაციის პროცესში.

დანართი 1: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობიდან მიღებული შენიშვნების სია

ცხრილი 4-3: ESIA–ს დამატების შესახებგამოთქმული შენიშვნები და პასუხები – პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
შემოთავაზებული მილსადენი განთავსდება ძველი მისალდენის მახლობლად?	359	ხაიში	PM - KH
არ არის მოცემული ინფორმაცია დასაქმების შესახებ.	360	ხაიში	PM - KH
ჩვენ ამ პროექტის განხორციელებას ვაფასებთ დადებითად, რამდენადაც ეს პროექტი სოფლისთვის იქნება სარგებლის მომტანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დროს, სოფლისთვის გაკეთდა ბევრი კარგი რამ. ჩამოიჭრა ბორცვი და სოფლისთვის ხელმისაწვდომი გახდა სარწყავი წყალი. SCPX პროექტის ფარგლებში იგეგმება სოფლისთვის სარგებლის მომტანი რაიმე ღონისძიებები? გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ მიწის იმ ნაკვეთების კომპენსაცია, რომლებზეც განთავსდა მილსადენი იყო მინიმალური. შესაძლოა არანაირი ზიანი არ მოგვაყენოს და ყველაფერი დარჩეს ისეთ მდგომარეობაში, როგორც ახლაა, მაგრამ შესაძლებელია რომ სოფლისთვის რამე გაკეთდეს?	361	ხაიში	PM - KH
სად ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები?	362	ხაიში	PM - KH
სად განთავსდება საქაჩი სადგური?	363	ხაიში	PM - KH
დაახლოებით რამდენი ადამიანი იქნება საჭირო მშენებლობის დროს? წინა პროექტის განხორციელების დროს ძალიან ცოტა ადამიანი მონაწილეობდა პროექტში, რის გამოც ადამიანებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. გარდა ამისა, პროექტში დასაქმებულნი იყვნენ ადამიანები სხვა დასახლებებიდან, რაც საკმაოდ უსიამოვნო იყო.	364	ხაიში	PM - KH
ხმაურის და ვიბრაციის შესახებ საჩივრის შემთხვევაში, მოხდება გაზომვა?	369	პატარა დურნუკი	PM - PD
როგორ შეიძლება მოხდეს მტვრის წარმოქმნა? სატრანსპორტო მოძრაობის გამო? თუ მტვერი წარმოიქმნება რაიმე დანადგარის ექსპლუატაციის გამო?	370	პატარა დურნუკი	PM - PD

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
მომავალში გასათვალისწინებლად გაცნობებთ, რომ სოფელში არიან დანადგარის ოპერატორები, ასევე მუშახელი და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები. თუ თქვენ აპირებთ საზოგადოებრივი კვების ობიექტის გახსნას, შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავება.	371	პატარა დურნუკი	PM - PD
საიდან აპირებთ მილების ტრანსპორტირებას?	372	პატარა დურნუკი	PM - PD
ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ რა შეიძლება გაკეთდეს. წელს ჩვენ გვქონდა 1000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტები; მოსახლეობას დაწერილი აქვს პროექტები.	374	პატარა დურნუკი	PM - PD
შესაძლებელი იქნება სკოლის შეკეთება?	375	არალი	PM - AR
როდის მოხდება არქეოლოგიური გათხრებისთვის საჭირო მიწის სამუშაოებზე გაცემული ნებართვების კომპენსაცია?	376	არალი	PM - AR
არსებობს მიწის ნაკვეთების შესყიდვის რაიმე შესაძლებლობა? როდის იწყება არქეოლოგიური გათხრები?	383	არალი	PM - AR
სადმე არის ბუჩქების რიგები?	385	არალი	PM - AR
რაც შეეხება სადგურთან არსებულ შენობებს, როგორ მოხდება კომპენსაციის გადახდა? რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი შენობების აგება მოხდება ჩემს მიწის ნაკვეთზე.	386	არალი	PM - AR
მე მივიღე უფრო ნაკლები კომპენსაცია მიწისთვის ვიდრე მეკუთვნოდა, რამდენადაც კომპენსაციის დროს დაანგარიშებული იყო ნაკლები მიწის ფართობი, მაშინ როცა პასპორტში მითითებულია მიწის გაცილებით დიდი ფართობი; ვინ იქნება პასუხისმგებელი ჩემს დანაკარგზე?	388	არალი	PM - AR
წინა პროექტის ფარგლებში მოსახლეობამ მიიღო კომპენსაცია რამდენჯერმე. 14 მცხოვრებმა მიიღო კომპენსაცია რამდენჯერმე, მე კი მხოლოდ ერთხელ.	389	ნაოხრები	PM - NK
რამდენი მიწის ნაკვეთი იქნება შერჩეული ჩვენი სოფლიდან?	390	ნაოხრები	PM - NK

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
წინა პროექტმა ზემოქმედება მოახდინა ბუნებრი გარემოზე. ჩვენი ფუტკრები ადრე სოფლიდან მიფრინავდნენ 10კმ მანძილზე, ახლა ჩვენი ფუტკრების რაოდენობა განახევრდა. სადგურთან ახლოს, სასოფლო-სამეურნეო კულტურები კარგად აღარ იზრდება; იზრდება მხოლოდ თავდაპირველი რაოდენობის ნახევარი. გარდა ამისა, მხოლოდ ქართველები არიან დასაქმებული პროექტში. არ იქნა გადახდილი შესაბამისი მიწის კომპენსაცია; გადახდა არ მოხდა იმის გამო, რომ მიწის ნაკვეთები იყო სადავო.	391	ნაოხრები	PM - NK
რა დამხმარე პროექტებია დაგეგმილი? კომპანია "Care" დაგვპირდა, რომ 550 მეტი სიგრძის მილსადენის მშენებლობას დააფინანსებდა 18000-ით, თუმცა არაფერი გაკეთებულა. შემდეგ შემოგვთავაზეს 7000 ოდენობის დაფინანსება, ხოლო შეკეთებისთვის საჭირო დარჩენილი თანხა სახელმწიფოს უნდა გადაეხადა. თქვენ იძლევით დაპირებებს და შემდეგ არასდროს ასრულებთ მათ. ამჟამად სოფელს აქვს სარწყავი წყლის პრობლემა.	392	ნაოხრები	PM - NK
უბან 80-ის მშენებლობამ გამოიწვია ზემოქმედება გარემოზე. ახლა გთხოვთ, ახალი პროექტების ფარგლებში დაეხმაროთ მოსახლეობას და გასცეთ კომპენსაციები, ასევე დააფინანსოთ პროექტები.	393	ნაოხრები	PM - NK
ხაიშის მცხოვრებმა (სოფლის ყოფილი რწმუნებული) მოითხოვა, რომ პროექტის ფარგლებში, რაღაც სტადიაზე უნდა მოხდეს სოფლისთვის წყლის ინფრასტრუქტურის დაფინანსება. მიმდინარე BTC/SCP მილსადენები მდებარეობს ორ უბანს შორის, რომლებზეც გადის წყლის მილების ქსელი; ეს ორი ქსელი მოცემულ ეტაპზე ერთანეთთან დაკავშირებული არ არის, თუმცა BTC/SCP კმნ60-თან სავარაუდოდ საჭირო გახდება ამ ორი ქსელის დამაკავშირებელი მილის გაყვანა, რომელიც გადაკვეთს არსებულ მილსადენებს და ასევე SCPX მილსადენსაც. განიხილავს თუ არა პროექტი ამ დამაკავშირებელი მილის დამონტაჟებას მშენებლობის ფაზის დროს.	394	ხაიში	Verbal

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
სოფლის მცხოვრების მიერ წამოჭრილი იყო საკითხი იმის შესახებ, რომ BTC/SCP პროექტების მშენებლობის დროს მისი მიწის ნაკვეთის ახლოს აშენდა გზა, რომელმაც დააზიანა ამ ტერიტორიის სადრენაჟო სისტემა და ახლა წყალს მის მიწის ნაკვეთზე მოაქვს ქვები; შესაბამისად, ეს მცხოვრები პროექტის ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული. გარდა ამისა, მიწის საფარი არის სქელი, 40 სანტიმეტრით უფრო მაღალი ვიდრე მიწა. შესაბამისად, მიწის ამ ნაკვეთზე და ასევე ამ ტერიტორიასთან ახლოს მდებარე, ასევე მის მფლობელობაში არსებულ რამდენიმე მიწის ნაკვეთზე ტრაქტორის მისვლა შეუძლებელია, რას მის მიწის ნაკვეთებს უსარგებლოს ხდის. მცოხვრებმა მოითხოვა გზის სადრენაჟე სისტემის შეკეთება.	395	არალი	Verbal
მე ვარ ხაიშის მცხოვრები. ჩემი სახლი მდებარეობს შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტთან ყველაზე ახლოს და შესაბამისად, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარემოსდაცვითი საკითხები: ანგარიშში ნათქვამია, რომ "ბუნებრივ გარემოზე საერთო ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის". თუმცა, ასევე აღნიშნულია, რომ მილსადენის ექსპლუატაციაში შეყვანის და ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელია აირის გავრცელება. ჩემი აზრით, ეს გამანადგურებელ ზემოქმედებას მოახდენს იმ ადამიანების ჯანმრთელობაზე, რომლებიც ცხოვრობენ საგრუდან 500 მეტრ მანძილზე და ასეე დააზიანებს ამ მანძილზე მდებარე ბოსტნებს. ხმაური და ვიბრაცია: ანგარიშში აღნიშნულია, რომ "აფეთქებით გამოწვეულმა ვიბრაციის დონეებმა შესაძლოა დაზიანოს არსებული შენობები". ჩემი სახლი, რომელიც მდებარეობს შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტიდან 50მ მანძილზე, მნიშვნელოვნად დაზიანდა წარსულში ჩატარებული ასაფეთქებელი სამუშაოების დროს. თუმცა, მილსადენის მშენებლობაზე პასუხისმგებელი კომპანიისგან ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. წინა გამოცდილების გათვალისწინებით, ახლა მე ვითხოვ კომისიის მოწვევას, რომელიც ადექვატურად და სამართლიანად შეაფასებს მშენებლობის დროს მილსადენის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანებისთვის წარმოშობილ შესაძლო რისკებს და საფრთხეებს. არცერთი პროექი არ ღირს ადამიანის სიცოცხის და ჯანმრთელობის ფასად.	407	ხაიში	წერილობითი (Email)
რა არის სამშენებლო დერეფნის სიგანე?	411	ქოთიში	PM - KT

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
სოფლის მოსახლეების მიერ გამოყენებული მიწის ფართობის არის 96 ჰექტარი; 80 ჰექტარი სახელმწიფოს მფლობელობაში, თუმცა გამოიყენება მოსახლეების მიერ. ჩვენი სოფელი დამოკიდებულია მიწაზე. თუ თქვენ წაიღებთ 44 მეტრს საძოვრები და სახნავი მიწები დაიკარგება. მოსახლეობა იყენებს ამ მიწას და დაინტერესებულია კომპენსაციის მიღებით. მიწის ძირითადი ნაწილი გათიბულია, ხოლო ნაწილი მოხნული და დათესილი. ჩვენ სხვა მიწა არ გვაქვს. სოფელში ცხოვრობს დაახლოებით 25 შინამეურნეობა; ყველა მათგანი ერთმანეთის ნათესავი და ახლობელია. თუ საჭიროა ტრაქტორი ან გათიბვაა საჭირო, მოსახლეობა ამას ერთად აკეთებს. მოსახლეობას აინტერესებს რას მიიღებენ ისინი მიწის სანაცვლოდ.	412	ქოთიში	PM - KT
ჩვენ ველოდებით ინსტრუქციას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიყიდოთ მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსგან. აუქციონები შეჩერებული იყო; ახლა ადამიანებს აქვთ საშუალება შეიძინონ მიწა. საჭირო იყო მოსახლეების თანხმობა ამ მიწის ნაკვეთების გაყიდვასთან დაკავშირებით და რეზიდენტებმა დაწერეს განაცხადი მიწის გაყიდვაზე. მოსახლეები ახლა გეგმავენ მიწის შესყიდვას და ჩვენ ვსაუბრობთ კომპენსაციაზე, რომელიც მათ ეკუთვნით. ჩვენ გვაინტერესებს აქვთ თუ არა ამ ადამიანებს იმ მიწის ნაკვეთების კომპენსაციის მიღების უფლება, სადაც განთავსდება მილსადენი.	413	ქოთიში	PM - KT
წარსულში აქ იყო საძოვარი. BTC მილსადენის მშენებლობის შემდეგ, გადაგვიხადეს კომპენსაცია; გადმორიცხული იქნა 3000 ან 4000 ლარი დასახლების ადგილობრივი ხელისფულებისთვის და შემდეგ ფული განაწილდა მოსახელობას შორის.	414	ქოთიში	PM - KT
BTC პროექტის მშენებლობის დროს ჩვენ მოვითხოვეთ გზის აღდგენა, თუმცა თქვენ ერთი სატვირთო მანქანაც კი არ გამოგიგზავნიათ. BTC მილსადენი აშენდა ისე, რომ არავის მიუქცევია ყურადღება ვარსებობთ ჩვენ აქ თუ არა. რატომ არ გადაუხადეთ კომპენსაცია ამ ადამიანებს?	415	ქოთიში	PM - KT
BTC პროექტის მშენებლობის დროს მე არ დამასაქმეს; ადამიანები ჩამოიყვანეს სხვა ადგილებიდან. რა გარანტიაა, რომ ამჯერად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.	416	ქოთიში	PM - KT
ჩვენ რატომ არ გვაქვს მიწა? ჩვენ ვიმსახურებთ კომპენსაციას; თუ ადამიანები კმაყოფილები იქნებიან ჩვენ ყველანაირად დაგიჭერთ მხარს.	417	ქოთიში	PM - KT

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
წარსულში, დასაქმდნენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ბათუმსა და სხვა ადგილებში და არ დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა. იმედი გვაქვს, რომ ახლაც იგივე არ მოხდება; მოსახლეობის 99% აქ მოვიდა თქვენთვის ამის სათქმელად.	418	მარაბდის დასახლება	PM - KT
ჩვენ აქ ვართ ჩვენი სოფლის გაჭირვების გამო. დღეს სოფლის საკეთილდღეოდ რამე უნდა გადაწდეს. თქვენ უნდა გადაუხადოთ კომპენსაცია ადამიანებს; კომპენსაცია უნდა მიიღოს თითოეულმა ჩვენგანმა. მილსადენი გადაკვეთს ზოგიერთიადამიანის მიწის ნაკვეთს და არ გადაკვეთს სხვების მიწას. კარგი იქნება თუ რაღაც ოდენობით კომპენსაციას მიიღებს ყველა. ჩვენ შორის ბევრი უმუშევარია.	419	ხაიში	PM - KH (2)
2005 წელს, აშენდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, რომელიც კვეთს სოფელ ხაიშში მდებარე სახნავ მიწებს; ამან მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ადამიანების ჯანმრთელობაზე. სოფლის მცხოვრებნი ხშირად ავადდებიან გულის ავადმყოფობებით, რომლებიც ხშირად ლეტალურად სრულდება. მილსადენმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ჩვენზე; განსაკუთრებით პირუტყვზე. პირუტყვი დაიხოცა. მიწის ნაკვეთები გაიყიდა სოფლის შინამეორნეობებზე, იმ იმედით, რომ მიწა იქნებოდა შემოსავლის წყარო და ყველა მიიღებდა თანაბარ კომპენსაციას; თუმცა, მოსახლეობა მოატყუეს. ჩვენ, სოფლის მოსახლეობის ნაწილი დავრჩით მოტყუებულნი. ამ დროს, მე მივიღე ჩემთვის განკუთვნილი სარგებელი. თუმცა, ევროპული სტანდარტებით ეს ზღვაში წვეთია. 10 წლის წინ სოფელში არსებულ სახლებს არ ჰქონდა ფანჯრები; ახლაც კი სახლებში არ არის ფანჯრები. კომპანია, იმის ნაცვლად რომ თანაბრად ეზრუნა სოფლის ყველა მცხოვრებზე, ზრუნავდა მხოლოდ მათზე, ვისაც უკანონოდ აქვს მიწის ნაკვეთი. თქვენ აღნიშნეთ, რომ აქტიურად მონაწილეობთ შეხვედრებში, თუმცა, შეხვედრებს ესწრება მხოლოდ 5-6 ადამიანი და ჩვენ არაფერი ვიცით. ჩვენ სულიერად და მორალურად განადგურებულნი ვართ. ჩვენ - 50 ოჯახი დავრჩით კომპენსაციის გარეშერ, გთხოვთ, გადაგვიხადოთ იგივე კომპენსაცია, რაც გადაუხად იმ ოჯახებს, რომლებმაც უკვე მიიღეს კომპენსაცია. თუ ასე არ მოხდება, ჩვენ არ დავთანხმდებით მილსადენის მშენებლობას და არ დავუშვებთ მილსადენის გაფართოებას. მილსადენის მშენებლობის გამო ჩვენ მოგვიწევს სხვაგან გადასახლება.	420	ხაიში	PM - KH (2)

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
ჩვენ გვინდა აქ ცხოვრება მომავალში, მაგრამ როგორ მოვიქცეთ? ფერმერს არ აქვს მიწა და რა უნდა ვქნათ ჩვენ? რა მიზეზებიც არ უნდა იყოს ნახსენები, ფერმერებმა კარგად იციან ეს მიზეზები. კარგით, მილსადენი განთავსდეს 200-300 მეტრ მანძილზე. თუ საქართველოსთვის ეს მნიშვნელოვანია, სვანები არასდროს ყოფილან ამის წინააღმდეგ; ჩვენ თანახმა ვართ, მილსადენმა გაიაროს ჩვენს სოფელში, საკუთარი რისკის ფასად. მარშრუტი შეიცვალა და და მილსადენმა შეიცვალა მიმართულება და წნევა ამ დროს ნორმის ფარგლებშია? შემდეგ მილი ისევ იცვლის მიმართულებას. ჩემი სახლი ამ ადგლითან ახლოს მდებარეობს. ვინ მოაწერს ხელს შეთანხმებაზე, რომ მოხვევის ადგლიას არ წარმოიშობა მაღალი წნევა და ჩვენ არ მოგვადგება ზიანი? თქვენ აღნიშნეთ, რომ დგუშის სადგური შემოიღობება უსაფრთხო ღობით.	421	ხაიში	PM - KH (2)
წყალმომარაგების ხაზის მონტაჟისთვის დიდ მადლობას გიხდით. ეს რომ არ გაგეკეთებინათ, ის ადამიანები, რომლებიც დღეს ცოცხლები არიან აღარ იქნებოდნენ ცოცხლები; ინვესტირებული იყო 100 ან 200 ათასი. თუმცა, ჩვენ ამ წყლით ვისარგებლეთ მხოლოდ 3 წელი, შემდეგ მიწა გაიყიდა უცხოელებზე.	422	ხაიში	PM - KH (2)
სარწყავი სისტემა მოეწყო, თუმცა, მას შემდეგ ეს სარწყავი სისტემა დარჩა ირანელების და გერმანელების ხელში.	423	ხაიში	PM - KH (2)
ეს არის ერთადერთი ადგილი სადაც აშენდა დგუშის სადგური, სოფელთან ახლოს; აქ ცხოვრობს ორი ოჯახი და დგუშის სადგური არის მათი საცხოვრებლის უკან. შეიძლება რომ ეს სადგური იყოს ამ მიწების მოშორებით? ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი საძოვარი, რომელსაც ყველა ვიყენებთ სათბად და ახლა მისასვლელი ამ მიწის ნაკვეთთან აღარ არსებობს. თქვენ მას შემოღობავთ და უსაფრთხოების ნორმების დაცვის გამო ჩვენ პირუტყვს აღარ ექნება მისასვლელი. როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ მომავალში? 29 ადამიანი დასაქმებულია სკოლაში, 2 - ადგილობრივ ადმინისტრაციაში; მხოლოდ მათ აქვთ ხელფასი. მაქსიმალური ხელფასი არის 500 ლარი (დაბეგვრის შემდეგ 400 ლარი); რა შეიძლება უყიდოს ადამიანმა 4 შვილს 140 ლარად? თუ თქვენ გადაუხდით 1000-1000 ლარს 60 ოჯახს, ეს იქნება მათი ყოველდღიური საკვებისთვის საჭირო ფული. რატომ უნდა განთავსდეს ეს დგუშის სადგური ამ ადგილას და რატომ არ გინდათ მისი აშენება სოფლის ბოლოს?	424	ხაიში	PM - KH (2)
ამ კომპანიაში ბრიტანელები მუშაობენ თუ ქართველები? დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ეს არის ქართული კომპანია.	425	ხაიში	PM - KH (2)

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
აქ ადამიანის სიცოცხლეზე ზემოქმედებას ახდენს რადიაცია. დღეს ჩვენ კარგად ვართი ინფორმირებულნი და თქვენ ვერ მოგვატყუებთ. ჩვენ ვიცით, რომ ამ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს კიდევ ორი მილსადენი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სოფელი ნელი მოქმედების ნაღმზეა. დივერსიის შემთხვევაში, ჩვენ ყველა მოვკვდებით, მოხდება კატასტროფა. თუ მილსადენმა უნდა გაიაროს ამ სოფელში, გადაგვიხადეთ მიწის კომპენსაცია და რაც გინდათ ის ააშენეთ აქ. ჩვენ აღარ გვინდა აქ ცხოვრება. მოგვეცით კომპენსაცია და გამოიყენეთ აქ არსებული შინამეურნეობები. ჩვენ სხვა ადგილას გადავსახლდებით.	426	ხაიში	PM - KH (2)
იყო წიგნი, რომელიც ადრე დაგვირიგდა, თუმც ახლა აღარ არსებობს. ჩვენ გავაკეთეთ ამ წიგნის ასლი. ყველაფერი რაც ამ წიგნში წერია სრულდება რეალურ ცხვრებაში; ყველაფერი, რაც ამ წიგნში წავიკითხე ახდა რეალურ ცხოვრებაში	427	ხაიში	PM - KH (2)
რაც შეეხება წყალს, საჭიროა სათანადო რეზერვუარის აგება. რეზერვუარი მეტალისაა და ჭანგიანია; ადამიანები იწამლებიან. წყალსადენის დამონტაჟებისთვის გიხდით მადლობას, თუმცა, კოლოსალური თანხებით აგებული რეზერვუარი არ ფუნქციონირებს. სასმელი წყალი მოგვაქვს სხვა წყაროებიდან. უნდა ხდებოდეს იმის მონიტორინგი, თუ რა კეთდება და როგორ.	428	ხაიში	PM - KH (2)
მილსადენის 500 მეტრიან რადიუსში არსებული ბაღების გადარჩენა შეუძლებელია და როგორ შეიძლება გადარჩეს ადამიანი?	429	ხაიში	PM - KH (2)
ჩემი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია. პასპორტის მიხედვით ჩემი სახელი და გვარია გიორგი ჭკადუა; მიწის რეგისტრაციის დოკუმენტებში შეცდომით არის მითიებული სახელი (რევაზი, გიორგის ნაცვლად). გიორგი ჭკადუას მიწის ნაკვეთის პასპროტი ითვლება ყალბად. თუმცა მე ვარ გიორგი. როგორ უნდა შესწორდეს დოკუმენტები?	430	ხაიში	PM - KH (2)
მე დიდი ხნის მანძილზე არ ვცხოვრობდი აქ. თუმცა, ზამთარში აქ ყოფნა სასიამოვნოა; გარშემო სულ თოვლია, თუმცა არა იქ სადაც გადის მილსადენი. ეს ადგილები მწვანეა და ხდება აორთქლება. რატომ არის ასე?	431	ხაიში	PM - KH (2)

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
მილსადენი გაივლის მხოლოდ რამდენიმე ოჯახის მიწაზე და ისინი მიიღებენ მცირე კომპენსაციას? რატომ არ შეიძლება მილსადენის მარშრუტი დაიგეგმოს ისე, რომ გვერდი აუაროს სოფელს; ასეთ შემთხვევაში მილსადენი გადაკვეთს სხვა ადამიანების მფლობელობაში არსებულ რამდენიმე მინდორს. ისინი მიიღებენ კომპენსაციას და მილსადენი სოფლის მოშორებით იქნება. რა მოხდება საქაჩი სადგური, რომ განთავსდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, ოდნავ მოშორებით?	432	ხაიში	PM - KH (2)
უცხოელმა არ იცის, არის თუ არა მოცემული ადგილი საძოვარი. სოფლის გადარჩენისთვის საჭირო ყველა საშუალება არის ამ მხარეს. ჩვენ გვაქვს მცირე საძოვრები. საერთო ჯამში, ჩვენთვის დატოვებულია 2 კვადრატული მეტრი ფართობი, რომელსაც თქვენ ასევე შემოღობავთ. გთხოვთ ჩვენი, გადასახლება და მიღება მოხდეს სრულად.	433	ხაიში	PM - KH (2)
მე მახსოვს თქვენთან შეხვედრა, როცა თქვენ თქვით, რომ აქ მუშაობთ პირველი დღიდან. შეხვედრაზე თქვენ თქვით, რომ მოსალოდნელია მაღალი კომპენსაციები. 5 ადამიანი ესწრებოდა ამ შეხვედრას; ჩვენ მოვხვდით წითელ ზონაში და ეს იყო გადასახლების ზონა. შემდეგ, გადაწყდა საძოვრების სახნავ მიწებად გარდაქმნა და ხალხს ამით უნდა მიეღო სარგებელი. თავიდანვე, თქვენ არღვევდით კანონს. მიუხედავად იმისა იყენებდა თუ არა სოფელი საძოვრებს, თქვენ არეგისტრირებდით მიწის ნაკვეთებს; თქვენ ეხმარებოდით მათ სოფლის საძოვრების რეგისტრაციაში.	434	ხაიში	PM - KH (2)

შენიშვნა	ID	PAC	ფორმატი
მე მესმის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ რაიმე უკანონო ქმედებებზე აიღოთ ვალდებულება; ვისაც არ ეკუთვნის კომპენსაცია, ის არ მიიღებს მას და ვისაც ეკუთვნის, მან მიიღოს! იყო დისკუსიები პროექტების შესახებ, თუმცა ისეთი უმნიშვნელო პროექტები იქნა განხორციელებული, რომ ადამიანებს ეს პროექტები საერთოდ არ ახსოვთ. ასეთი დიდი კომპანიისთვის ეს პროექტები ძალიან უმნიშვნელო იყო. მე წარმოვადგენ არასამტთავრობო ორგანიზაციას 2006 წლიდან და ჩართული ვარ პროექტების მომზადებაში. მე მქონდა კონსულტაციები აზერბაიჯანელ კოლეგებთან. ჩვენ გაგვიკეთებია 10 000-ის ღირებულების პროექტები და ამერბაიჯანში იყო მინი პროექტები, რომელთა ღირებულება 150 000-ს შეადგენდა. თანადაფინანსება ასევე რთულია და ჩვენ ამ პროექტებს ვეღარ ვაგრძელებთ. თანადაფინანსება არის პრობლემური საკითხი. სადაც მილსადენის არ გაივლის, იქ გადახდა ვერ მოხდება; მაგრამ შეუძებელია შედარებით ნორმალური პროექტების დაფინანსება? 50%-იანი თანადაფინანსება ბევრია. ასე თუ მოიქცევით კარგია და თანადაფინანსება აღარ იქნება საჭირო. ჩვენ ამ პროექტებზე ვმუშაობთ წლების განმავლობაში და ვაკეთებთ ყველაფერს - ვწერთ პროექტებს, ვაკეთებთ ბუღალტრულ აღრიცხვას, უზრუნველყოფთ გადასახადების გადახდას, თუმცა ხელფასს ამაში არ ვიღებთ. ჩვენ ამ პროექტებს წლების მანძილზე ვახორციელებთ მარტო, ხელფასის გარეშე. ამ პროექტებს სოფლისთვის სარგებელი არ მოაქვს.	435	ხაიში	PM - KH (2)
აპირებთ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას? თუ არა, მაშინ გვითხარით რას აპირებთ. ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ კომპენსაციას.	436	ხაიში	PM - KH (2)
PM = საჯარო შეხვედრა KH = ხაიში; KH(2) = მეორე საჯარო შეხვედრა ხაიშში შეცვლილ დამატებასთან დაკავშირებით; KT = ქოთიში; PD=პატარა დურნუკი; AR = არალი; NK = ნაოხრები			